№ 194. ორშაბათი 17 ნოემბერი 1914 წ.

წლიწადი მეოთხე.

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 25 კ. საზღვარ-გარედ ორჯერ მეტი.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ., ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

№ 194. ორშაბათი 17 ნოემბერი 1914 წ.

წლიწადი მეოთხე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს ...

რედაქციის კონტორის ბინა: ოლგას ქ., სახლი დიასამიძისა, № 4.

ტელეფონი 6—60.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.

გამოვიდა გასასყიდად

„თემის" რედაქციის გამოცემა:

„კონსტანტინე მაყაშვილი. ლირიკა

მოიკითხეთ ყველა წიგნის მაღაზიებში.

სახალხო სახლი

ოთხშაბათს 19 ნოემბერს 1914 წ. თბ. ქართ. დრამატ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

სოფლის ექიმი

დრამა 2 მოქმ. ბორდოსი, თარგმ. ა. მეგრელისა.

რეჟისორი მ. ქორელი.

II

ხანუმა

კომედია 3 მოქმ. და 4 სურათად, ა. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: ქ-ნი: ბეჟანიშვილი, თოიძე, ეფ. მესხი, პიერეტტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, კორიშელი, საჲაული, ფრონისპირელი, ყალიბეგიშვილი, შანშიაშვილი, ჭიაურელი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 20 კ.-დან 10 კ.-მდე.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

მოიკითხეთ ყველა მეგაზეთეებთან თბილისში, გაზეთი

„ახალი ქართლი"

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ—ხუთშაბათობით და კვირაობით.

ცალკე ნომერი ერთი შაური.

დაკვეთით წლის დამლევამდე ერთი მანეთი. ხელის მოწერა მიღება: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან ვიქ. მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის

დედოფალ ალექსანდრეს თეოდ. ასულის თბილისის საწყობი

ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას ომით გამოწვეულ საჭიროებათათვის თეთრეულის მასალას, შეკერილ თეთრეულს, ფულს, თბილ საცვალს და ტანისამოსს, წამლებს, წყლულის შესახვევ მასალას (მარლს ბინტისათვის) და სანოვაგეს (ჩაი, შაქარი, ყავა, ყავა, კაკაო, შოკოლადი, თამბაქო და სხვა).

ვინც იკისრებს უსასყიდლოთ შეკერვას თეთრეულისას ან სხვა ნივთებისას, კეთილ ინებონ და საწყობში მობრძანდნენ ყოველდღე (კვირა უქმის გარდა) დილის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

იმავე დროს მიიცემა სახლში წასაღები მასალა და მიიღება შემოწირულება.

შემოწირულების რაოდენობას ნურავინ დაერიდება. ყოველგვარი შემოწირულება მადლობით მიიღება. ყველაფერი მეტად საჭიროა განსაკუთრებით თეთრეულები და წყლულის შესახვევი მასალა (მარლი). საწყობი მოთავსებულია მეფის მოადგილის სასახლეში.

მის უდიდებულესობის თბილისის საწყობში ფულით შეწირულების შეტანა შეიძლება თბილისის ვაჭართა ბანკში საწყობის მიმდინარე ანგარიშზე № 394 ნომრით ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, კვირა-უქმეს გარდა.

„ნ. ი. ბოზარჯიანცისა და შვ."

სავაჭრო სახლისაგან

თუთუნის მწეველთა საყურადღებოდ

რათგანაც მოვაჭრეებს ჩვეულებრივ ფასზე ნაკლებს ვუკლებთ და სათადარიგოდ თამბაქოც დიდძალი გვაქვს, ამისათვის შესაძლებლად ვცანით, სააქციზო ხარჯის მომატების მიუხედავად, ისევ ისეთივე მაღალი ღირსების თუთუნი ვიქონიოთ, როგორიც გვქონდა. მხოლოდ ზოგიერთ უმაღლეს ღირსების თუთუნს მოვუმატეთ მცირე რამ და მესამე ხარისხის „სასუნ" და „ნაროდნი"-დაც.

ზოგიერთი წვრილად მოვაჭრე კი შემთხვევით სარგებლობენ და თავისი ინტერესების გულისათვის ბოროტად გამოიყენეს ეს გარემოება და ჩვენი ფირმის პაპიროსებს აღიშნულ ღირებულებაზე უფრო ძვირად ჰყიდიან.

თამბაქოს მწეველთა უზრუნველსაყოფად ასეთ უკადრის შემთხვევათაგან გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ ქვემოდ მოხსენებული პაპიროსების ფასი ძველივე დარჩა:

| | | |
|---|---|---|
| „სიმპატია" ( | 10 ც. | 6 კ. |
| ( | 25 „ | 15 „ |
| „სუდებნია" | 25 „ | 15 „ |
| № 8 | 10 „ | 6 „ |
| დრუჟბა" და „ტოვარიშჩ" | 20 „ | 6 „ |
| „მერტა" ( | 25 „ | 10 „ |
| ( | 15 „ | 6 „ |
| „ივან და მარია" და „აერო" | 25 „ | 15 „ |
| „სიმპატია" | 10 „ | 10 „ |

სწორედ ამ ფასებში უნდა ჰყიდონ წვრილად მოვაჭრეთ ზემოაღნიშნული პაპიროსები.

სრული პატივისცემით

სავაჭ. სახ. „ნ. ი. ბოზარჯიანცისა და შვ."

ახალი კლუბი

ორშაბათს 17 ნოემბერს

საოჯახო საღამო

აჩვენებენ სინემატოგრაფის საშუალებით სხვა და სხვა სურათებს

ოთხშაბათს, 19 ნოემბერს სინემატოგრაფი

პარასკევს 21 ნოემ. სინემატოგრაფით აჩვენებენ სხვადასხვა სურათებს.

## თბილისი, 17 ნოემბერი.

წარსულმა კვირამ ორი საგულისხმო მოვლენა მოგვიტანა. ჩვენ გვეწვივნენ რუსეთის ორი მრავალმნიშვნელოვან საზოგადოებრივ ელემენტის წარმომადგენელნი: ერობა-ქალაქებისა და პრესისა. მართლაც, რუსეთის უდიდეს გაზეთების რედაქციებმა გამოჰგზავნეს საქართველოს დედა-ქალაქში თავის საუკეთესო საკუთარი კორესპონდენტები. ზოგი მათგანი ცნობილი მწერლებია, როგორც მაგ., დრამატურგი სოლ. პოლიაკოვი (ს. ლიტოვცევი), კორესპონდენტი გაზ. „რუსკოე სლოვოსი", ნიკ. აშეშოვი (გაზ. „დენისა"), თედ. კრიუკოვი (გაზ. „რუსკია ვედომოსტისა"), და სხვ. უკანასკნელმა გაზეთმა სამი კორესპონდენტიც კი გამოგზავნა. ყველა ეს ამტკიცებს, თუ როგორი ინტერესი გამოიწვია ჩვენმა მხარემ რუსეთის საზოგადოებასა და პრესაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებული მწერლები ხეირიანად წარუდგენენ რუსეთის მკითხველებს ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობის და საზოგადოდ ჩვენი ცხოვრების ნამდვილ სურათს. ამაში, რასაკვირველია, ჩვენც უნდა შევუწყოთ ხელი, გავაცნოთ ჩვენი ყოფა-მდგომარეობის ვითარება და ჩვენი მისწრაფებათა შინაარსი.

სწორედ საკვირველი კია, რომ სანამ ჰქა ქუხილი არ ასტყდა, რუსეთის პრესას არ აეშალა სადღეღელი ჩვენი ახლო გაცნობისა. ეს გაუცნობლობა იყო ერთად-ერთი მიზეზი იმ მრავალ გაუგებრობისა, რომელსაც ხშირად ჰქონდა ადგილი რუსეთის პრესაში, მიმართულების განურჩევლად, როდესაც იგი მოწყალებას მიიღებდა და მოიწადინებდა ხოლმე ჩვენი საკითხების განხილვას. იმედი უნდა ვიქონიოთ, ამიერიდან მაინც ამ გაუგებრობას ბოლო მოეღება და ჩვენი ჭირ-ვარამი სისწორით ჩაისახება რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში. რუსეთის საზოგადოებრივი აზრის დახმარება მეტად საჭიროა ახლა, როდესაც რუსეთის პარლამენტი შეუდგება მრავალ ისეთ საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას, რომლის შედეგი იქნება განახლებულ რუსეთის შექმნა როგორც თვით რუსის ხალხის, ისე მრავალ სხვა ერთა საკეთილდღეოდ, რომელთა ინტერესები დაკავშირებულია მთელი საერთო სახელმწიფოს ინტერესებთან...

სრულიად რუსეთის საქალაქო კავშირის მხრით ჩვენ გვეწვია კავშირის მეთაური, ამ დღეებში მოსკოვის ქალაქის თავად დამტკიცებული მიხ. ჩელნოკოვი, სრულიად რუსეთის საერობო კავშირის მხრით კი — კავშირის თავმჯდომარის თავ. გ. ევგ. ლვოვის მოადგილე თედ. ვლად. შლიპპე, მოსკოვის გუბერნიის ერობის გამგეობის თავმჯდომარე და გრ. პ. ს. შერემეტევი. ამათი მოსვლის შედეგი ის იყო, რომ დაჭრილთა დახმარების საქმემ ძალიან წინ წაიწია. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ამავე მიზნით ომის დაწყებისთანავე დაარსდა კავკასიის ქალაქთა კავშირი, მაგრამ ამ კავშირს იმდენი ძალა და სახსარი არ მოეპოვებოდა, რომ ყოველ მხრით გასძღოლოდა მძიმე საქმეს. აი სწორედ კარგ დროს გაუწია სამსახური ჩვენს მხარეს სრულიად რუსეთის საქალაქო კავშირმა, რომელმაც კავკასიის ქალაქთა კავშირი თავის განყოფილებად გაიხადა. ამ შეკავშირების წყალობით ამ ახალ კავკასიის განყოფილებას კიდეც გადასცა მიხ. ჩელნოკოვმა დაჭრილთა დახმარების საქმის წესიერ მოსაწყობად ერთი მილიონი მანათი, შემდეგშიაც აღუთქვა დახმარება. ამგვარად ეს საქმე მოწყობილია საქალაქო კავშირის მხრით.

დარჩა მოსაწყობი კავკასიაში დაჭრილთა დახმარების საქმე საერობო კავშირის მხრით. ეს საქმე უფრო ძნელი მოსაწყობია, ვიდრე ქალაქების მხრით, რადგანაც ქალაქებს ჩვენში აქვთ თვითმართველობა, ერობა კი ჩვენში შემოღებული არ არის.

პირველად ჩვენში გავრცელდა ხმა, რომ საერობო კავშირი საქმის მოგვარებას მიანდობს თბ. და ქუთ. თავად-აზნაურობის ორგანოებს, რომელთა მოქმედებას რამდენადმე საერობო ხასიათი აქვს. ამნაირად სურდათ მოეწყოთ სრულიად საერობო კავშირის კავკასიის განყოფილება. სწორედ ასეთი შინაარსის დეპეშები დაბეჭდილია რუსეთის გაზეთებში, მაგ. „რუსკოე სლოვოს" 11 ნოემბრის ნომერში. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს აზრი შესცვალეს „სადღაც" და ახლა სურთ სულ სხვაგვარად მოაწყონ ეს ორგანიზაცია. ამ „ცვლილებას" ჩვენ არ შეგვიძლია თანაგრძნობა გამოვუცხადოთ. მართალია, სადეპუტატო საკრებულოები ერთს წოდებას ეკუთვნიან, მაგრამ ყველამ უწყის, რომ ჩვენში თავად-აზნაურთა ორგანოების მოქმედებას აქვს რამდენადმე საერობო ხასიათი, რაც აღნიშნა თავის სიტყვაში ამას წინად რუსეთის სტუმრების პატივსაცემად გამართულ ნადიმზე თვით ამ ნადიმის თავმჯდომარემ ალ. ხატისოვმა. სადეპუტატო საკრებულოები ვერასოდეს ვერ გადუხვევდენ დაჭრილთა დახმარების საქმის მოწყობის დროს საერობო კავშირის-მიერ გაკვალულ გზას. როგორც გამოირკვა ახლა მთელი რუსეთისათვის საერობო კავშირი დიდ დაუფასებელ სამსახურს უწევს სახელმწიფოს ამ საშინელ გაჭირების დროს. ეს აღსარებულია არა მარტო პრესისა და საზოგადოების მიერ, არამედ თვით უმაღლეს მთავრობის მხრითაც.

კავშირის მიზანია გააერთიანოს საერობო რუსეთის ყველა ძალები დაჭრილთა და ავადმყოფ მეომართა მზრუნველობის მოწყობის საქმეში. რუსეთის ერობამ იტვირთა ეს მძიმე, მაგრამ წმინდა საქმე, რომ გაადვილებინა რუსეთის არმიისათვის წინ სვლა. კავშირს ჰყავს ამისათვის არჩეული ათ კაცისაგან შემდგარი მთავარი კომიტეტი და ადგილობრივი საგუბერნიო და სამაზრო ორგანიზაციები. კავშირის ვალია მოწყობა: ეგრედ წოდებული დაჭრილთა ევაკუაციისა, ე. ი. დაჭრილთა და ავადმყოფ მეომართა გამოყვანისა ბრძოლის ველიდან ლაზარეთებსა და საავადმყოფოებში, საექიმო და სანიტარულ საქმისა, მოწყალების დათა კურსებისა, სანიტარულ მატარებლებისა, შესახვევ და საზრდოობით სადგურებისა, საცვლების, წამლების და სხვა საჭირო საშუალებათა დასამზადებელ განყოფილებისა და სხვა და სხვა. კავშირს სხვაგვარივაც შეუძლია იმოქმედოს, მაგალითად ომისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დახმარების საქმეში. კავშირმა ამ მხრით ნაბიჯი უკვე გადასდგა. მან მიმართა რუსეთის საზოგადოებას მოწოდებით, რომ განადგურებულ პოლონეთის მცხოვრებლებს დახმარებოდენ და კიდევაც ფართოდ მოაწყო ამ დახმარების საქმე.

კავშირმა კარგად იცოდა, რომ თავის მოქმედება უნდა გაევრცელებინა აგრეთვე ისეთ ადგილებზე, სადაც ერობა შემოღებული არ არის. თავის განყოფილების მოწყობას, მაგ., უკვე შეუდგა კავშირი დონის როსტოვში.

ამგვარივე კომიტეტის ანუ განყოფილების დაარსება კავშირს სურს კავკასიაში.

ჩვენის აზრით, ამისათვის ძალიან გამოსადეგი იქნებოდა თავად-აზნაურობის თვითმართველობა, რომელიც მოიწვევდა თანამშრომლებად კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, ქართულ და სომხის სამეურნეო, საქველმოქმედო საზოგადოებებს და სხვა დაწესებულებათ, რომელთაც შეუძლიათ ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ. თავად-აზნაურობას მით უფრო შეეძლო ეს საქმე ეკისრა, რომ იგი, როგორც იურიდიული ერთეული, პატრონია საკმაოდ დიდი შეძლებისა და თავის მხრით გაუწევდა დიდ საერობო საქმეს შესამჩნევ დახმარებას ფულით.

ამიტომ მეტად უცნაურად უნდა ჩაითვალოს წინანდელი განზრახვის უარყოფა და „ახალი" გზის არჩევა.

12 ნოემბერს გაიმართა კიდეც თათბირი. გრ. პ. ს. შერემეტევის-მიერ მიწვეულნი იყვნენ, როგორც გაზ. „კავკაზი" გადმოგვცემს, წითელი ჯვრის მთავარი რწმუნებული ბარონ ლ. კ. კნორრინგი; გუბერნიის მარშალი თავ. კონსტ. აბხაზი, გენ. მ. ვესელოვზოროვი, წითელი ჯვრის სანიტარულ ნაწილის გამგე პროფ. სამხედრო საექიმო აკადემიისა ვ. ა. ოპპელი, ქალაქის თავი ალ. ხატისოვი, თბ. მაზრის მარშალი თავ. მიხ. სუმბათაშვილი, საევაკუაციო განყოფილების უფროსი პოლკ. ნ. გ. კერსტიჩი, დაჭრილთა კომისიის თავმჯდომარე თავ. ალ. მიხ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი და თავმჯდომარე სომხის საქველმოქმედო საზოგადოებისა ს. ს. არუთიუნოვი. კიდევ იყვნენ მიწვეული ქუთაისის გუბერნიის მარშალი თავ. დავ. ოტ. ნიჟარაძე და დეპ. მიხ. ივ. პაპაჯანოვი, მაგრამ ვერ დაესწრნენ თათბირს, რადგანაც ქალაქიდან წასული ყვნენო, — თავაზიანად გვაწოდებს ცნობას იგივე ოფიციოზი და თან დასძენს, რომ გრ. შერემეტევის-მიერ მწვეულ პირების სიიდან სჩანს, რომ სათათბიროს ჰქონდა სრული საერობო ხასიათი, რადგანაც სხვადასხვა ერის წარმომადგენელთაგან შესდგებოდაო.

ჩვენ განგებ ამოვწერეთ თათბირზე მიწვეულ პირთა ყველა სახელები, რომ დაგვენახვებინა მკითხველისათვის, თუ რაოდენად სცდება ჩვენი ოფიციოზი.

განა თბილისში დასახელებულ პირთ გარდა აღარ არსებობენ საზოგადო მოღვაწენი, ანდა აღარ მოიძებნებოდა ჩვენში დაწესებულებანი, რომლის წარმომადგენელნი გამოსადეგნი იქნებოდნენ ამ დიდ საქმეში?

ჩვენის აზრით დიდად საჭიროა გაფართოება ამ საქმისა, მიწვევა ყველა თვალსაჩინო საზოგადო ძალებისა და ამგვარად მოწყობა დაჭრილთა მზრუნველობისა და დახმარებისა. თუ არა სურთ მიანდონ ამ საქმის მოწყობა თავად-აზნაურობის ორგანოებს, რომელთაც უცნაურის მიზეზით ალმაცერად უყურებენ ზოგიერთნი ამ უკანასკნელ დროს, საზოგადო დაწესებულებანი, ამ საქმეში გამოსადეგნი, ხომ მრავლად მოიძებნება როგორც თბილისში, ისე მთელ კავკასიაში.

ასე თუ ისე საქალაქო და საერობო კავშირის მოქმედების გავრცელება ჩვენს მხარეზე დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც მოასწავებს მომავალშიაც მთელი სახელმწიფოს საზოგადოებრივ ელემენტთა ერთსულოვან და მედგარ მუშაობას საერთო საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ამიტომ ჩვენ დიდის აღფრთოვანებით ვეგებებით ამ კეთილ პირველ ნაბიჯს საერობო რუსეთისას ჩვენში და ვისურვებთ შემდეგშიაც შევხვედროდეთ უფრო სასიხარულო საერთო საქმეში რუსეთის და მის ტერიტორიაზე მოსახლე ერთა საკეთილდღეოდ.

## ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში.

1877/78 წ. რუს-ოსმალოს ომის შემდეგ, რომელიც რუსეთის გამარჯვებით გათავდა, ბათუმი და მისი მიდამოები რუსეთის ხელში გადავიდა. იმ ხანად ქ. ბათუმში და მის მიდამოებში, ართვინში, არდანუჯში, აჭარაში, მარადიდში, შავშეთში, ქობულეთში, არდაჰანში, ლივანაში და სხვ. დაახლოვებით ორ მილიონამდე ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობდა. ყველა ამ ხალხს შეეშინდა იმ ახალი მთავრობის, რომელსაც იგინი ვერ იცნობდენ და რომელიც ზნე-ჩვეულებით და სარწმუნოებით მათთვის უცხო იყო. ამავე დროს სათათრეთის მთავრობა მათთვის უფრო საკუთარი იყო და მათივე სარწმუნოების, და ამიტომაც თანდათან მიატოვეს მათ თავიანთი მიდამო და მიწა-წყალი და მიაშურეს ისევ ძველ მთავრობას — ესე იგი ოსმალეთს. ამავე დროს ბევრი გარემოება დატრიალდა ისეთი, რამაც ხელი შეუწყო გადასახლებას. მაგ. გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ახალ შემოერთებული ადგილებში მცხოვრებთ აიძულებდნენ ჯარში გაყვანას, აგრეთვე სჯულის გამოცვლასაც და სხვა ამგვარი. და რასაკვირველია ყოველივე ეს საერთო გამოურკვევლობა იმით გათავდა, რომ დიდძალი ხალხი აიყარა სათათრეთში გადასასახლებლად. ეს მოძრაობა საქართველოს მოსაზღვრე კუთხეებსაც მოედო. ამნაირად სტამბოლში იმ ხანად მოგროვდნენ მრავლად: ქართველი მაჰმადიანნი, აფხაზები, დაღისტნიდან ჩერქეზები, თარაქამა და ყირიმის თათრებიც — ყველამ აავსეს სტამბოლი. რასაკვირველია სათათრეთის მთავრობა ომის შემდეგ ძალიან დაზარალებული იყო, და ამდენი ხალხის მოსვლამ უფრო გაამწვავა ერის უბედური მდგომარეობა. ეს მოსული ემიგრანტები ეყარენ ჯამეების ქუჩებში და ეზოებში და მრავლად იხოცებოდნენ ავადმყოფობისა და სილატაკისაგან. თითქმის ნახევარი გახდა მსხვერპლი. ბოლოს თითონ მიხვდნენ, რა დიდი შეცდომა ჩაიდინეს, რომ გადმოსახლდნენ, მაგრამ სამწუხაროდ გვიან-ღა იყო და თავის სამშობლოში ველარ დაბრუნდებოდნენ. სათათრეთმა კომისია დააწესა და ეს გადმოსახლებული ხალხი მთავრობის დაუმუშავებელ მიწაზედ დაასახლა. ჩვენი ქართველი მაჰმადიანები სივასის, ტრაბიზონის, ბრუსსის გუბერნიაში და იზმითის ბალიქესირის სანჯაყებში დაასახლეს. სავაზის გუბერნიაში სამი მაზრაა: ერბაა, ნიქსარ და ლადიქის, ამ მაზრების სოფლებში დაასახლეს. ტრაბიზონში სამსუნის ოლქში, ჩარშამბა, ფაცსა და უნიეს სოფლებში; ბრუსსაში — ინეგელ და ატრანოსის სოფლებში. ამ სამ გუბერნიაში მარტო ქართველ მუსულმანთა რიცხვი უდრის 200.000 სულს. იზმითის და ბალიქესირის სანჯაყების სოფლებში 400.000-მდე ქართველი — მაჰმადიანი არის. ამ გადასულმა ხალხმა თან წაიღო თავისი ზნე-ჩვეულება, ადათი და ენა. აქაურ ქართველ-მაჰმადიანთ სოფლებში ვისაც უმოგზაურნია, ის რომ წავიდეს ამ გადასახლებულთა ადგილებში — სრულებით იმგვარსავე სურათს იხილავს იქ, რაც აქ არის; არაფერი განსხვავებაა, გარდა ადგილის გამოცვლისა, არ ეტყობათ. აქაურობასთან კავშირი გაწყვეტილი არა აქვთ. აქ მრავალი ნათესავები ჰყავთ, რომელთაც ნახულობენ. ესენიც იმათთან მირიან.

თუმცა სახლები აქ დარჩათ, მაგრამ თან წაჰყვათ ქართველის ცხოვრების განუშორებელი სატრფიალო — მჭადი და ლობიო.

პირველდაწყებით სასწავლებლებში რომელნიც მათ სათათრეთმა გაუხსნა,

ბავშვებისათვის მეტად გაძნელებულია თათრული ენას სწავლა: ქართულის აება კი არა აქვთ. პოლიტიკურად ქართველი მაჰმადიანები ვერ შეადგენენ რომელსამე თვალსაჩინო ჯგუფს, რადგანაც მათი რიცხვი მეტად მცირე არის. ესენი რ არიან ცნობილი როგორც ცალკე ეროვნება. მხოლოდ მდიდართ და შეძლებულებს, ვინც ქალაქებში სცხოვრობენ, შეუძლიათ შვილების კარგად გამოზრდა და ზოგიერთები უმაღლეს სასწავლებელსაც ათავებენ.

თათრებს ეს გადმოსახლებული ქართველები მიაჩნიათ როგორც ჭკვიანი და გამბედავი, სინიდისიანი და ლამაზი ხალხი. მართლაც ერთი აზრი გაამართლეს ყველამ, ვინც კი სწავლა მიიღო და დაწინაურდა. მეტი წილი ამ სწავლა-მიღებულ ქართველთაგან სამხედრო სამსახურს მიეძალა. ბევრმა სათათრეთის მთავრობის დიდ მნიშვნელოვანი ადგილები მიიღო. მაგალითად, ჰასან ფეჰმიფაშა მარადიდელი იყო, სათათრეთში „ეროვნული უფლები“-ს მეცნიერება მან შექმნა კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტში. იგი ბევრჯელ იყო მინისტრად — ჯერ სწავლა-განათლებისა და მერე სამართლისა. გენერალ-გუბერნატორად იყო სმირნასა და სალონიკში. იგი ითვლებოდა სათათრეთის წარჩინებულ კაცად და საუკეთესო მეცნიერად. ასეთი დიდი კაცი სათათრეთში არ ყოფილა. მან კარგად იცოდა ქართული ენა. მას დაწერილი აქვს მრავალი თხზულება თათრულს ენაზედ. ვეზირის ხარისხი ჰქონდა მიღებული. გარდაიცვალა სამი წლის წინ.

ათაბეი-ზადე-რიზა-ფაშა არის არტილერიის და შტაბის გენერალ-მაიორი. იგი არის ლივანელი. სწავლა მიუღია კონსტანტინეპოლის შემდეგ გერმანიაში. საბერძნეთის და სათათრეთის ომის დროს 1897 წ. იგი იყო არტილერიის უფროსად, სადაც თავი ისახელა. კონსტიტუციის შემოღების შემდეგ, ჯერ სამხედრო მინისტრად იყო, მერე საზღვაო მინისტრად, ეხლა-კი სენატორია. ქართული ამანაც კარგად იცის. ამდენი ხნის განმავლობაში და სხვადასხვა ქვეყნებში ყოფნის დროს მას ჯერაც არ დაუკარგავს ლივანის კილო, რომელიც აშკარად ეტყობა. ამასა ჰყავ[illegible], რომელნიც არიან უმაღლეს სასამართლოში წევრად. გათავებული აქვთ სამართლის ფაკულტეტი ორივეს.

მაჰმუდ-ფაშა თავდგირიძე ქობულეთელი არის, შტაბის გენერალ-მაიორი სათათრეთის შტაბის უფროსად იყო, საზღვაო მინისტრად, და შემდეგ საზოგადო სამუშაოს მინისტრად. რუსეთთან ომის გამოცხადების წინად სამსახურს თავი დაანება. ქართული კარგად იცის. მას ჰყავს ერთი ძმა — აჰმედ ფაშა თავდგირიძე, რომელიც არის ლაზისტანის წარმომადგენელი, დეპუტატი სათათრეთის პარლამენტში. მისი ბიძა ბაჰრი-ფაშა თავდგირიძე გენერალ-მაიორი არის, სამსახურიდან გამოსული.

ავნი-ფაშა ლორთქიფანიძე შტაბის გენერალი არის, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს. საბერძნეთთან ომის დროს 1897 წ. იგი ტრაპიზონის ჯარის სარდლად იყო დანიშნული. მან დიდი სახელი დაიმსახურა ამ ომში.

ისმაილ-ფაშა ლორთქიფანიძემ გაათავა უმაღლესი სასწავლებელი და გუბერნატორად არის დენიზლიში. ამათი ორივეს მამა იყო სულეიმან ფაშა ლორთქიფანიძე, რომელსაც ქართველები კარგად იცნობენ ტრაპიზონის კომენდანტობის დროს. სამი წელიწადია რაც გარდაიცვალა.

იუსუფ-ბეი ლორთქიფანიძე არის შტაბის პოლკოვნიკი, რომელსაც სათათრეთის პოლიტიკურ ვითარებაში დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა ქიამილ-ფაშის კაბინეთში. ახლა ემიგრანტია და ჟენევაში სცხოვრობს.

გარდა ამისა ბევრი სხვა გამოჩენილი პირი არის მაჰმადიან ქართველთა შორის. ყველაფერმა ამან დიდი სიყვარული და ურთი-ერთ შორის პატივისცემის გრძნობა ჩამოაგდო თათრებსა და მაჰმადიან ქართველთა შორის.

ჩაქველი ჰასან.

---

## ლაზისტანი და ლაზები

„სახ. ფ-ის“ 15 ნოემბრის ნომერში ექიმ ჰასან ლორთქიფანიძის შემდეგი წერილია დაბეჭდილი:

„ქართველი ერის მონათესავე ლაზები ოსმალეთის სახელმწიფოში მოსახლეობენ შავი ზღვის აღმოსავლეთ — სამხრეთ ნაპირებზე, ტრაპიზონის ვილაეთში, ლაზისტანის სანჯაკში. ლაზისტანის სანჯაკის დედაქალაქი წინად იყო ბათუმი, ხოლო ეხლა ქალაქი რიზე. ლაზისტანს საზღვრავს ჩრდილოეთით შავი ზღვა, სამხრეთით არზრუმის ვილაეთი, აღმოსავლეთით რუსეთი და დასავლეთით ტრაპიზონის ვილაეთი. ლაზისტანის სიგრძე ზღვის პირად იქნება ას ოცი კილომეტრი (ას-ათი ვერსი) ხოლო სიგანე — 25—30 კილომეტრი. სანჯაკი შესდგება სამი კაზისგან — რიზე, ხოფე და ათინა — და ექვსი ნაჰიესაგან (ვილაეთი დაახლოვებით უდრის გუბერნიას, სანჯაკი — ოლქს ან მაზრას, კაზა — საბოქაულო, ხოლო ნაჰიე — სოფლის საზოგადოებას). ლაზისტანში სულ 364 სოფელია, და მცხოვრებთა რიცხვი 200 ათასი. ათიათასი ქრისტიანია (5 ათასი ლაზი, ბერძენი და სხ.), დანარჩენი მაჰმადიანი ლაზია.

ლაზისტანი საერთოდ მთიანი ადგილია და ირწყვება მრავალი პატარა მდინარით (ესპეროზ, ფაზარ, ფურთე, ვიწე და სხ.). მთები ტყიანია, ტყეში ბევრს შეხვდებით კაკლის ხეს, წიფლის, კვიპაროზს. ნიადაგი მწირია, მაგრამ რადგან ხალხი მეტად მშრომელია, მეურნეობა განვითარებულია და საკმაო მოსავალი მოჰყავს. ათინის კაზაში სხვათა შორის მოჰყავთ ბრინჯი. ბევრია ლაზისტანში თხილი და ლობიო, რომელსაც მცხოვრებნი გარედ ჰყიდიან. მთებში მოიპოვება რკინის, შავი ქვის და სხ. მადანი, მაგრამ უცოდინარობის გამო ხალხი ვერ სარგებლობს. ლაზებში განვითარებულია ნავების და იალქნიანი გემების კეთება, მეთევზეობა და ქსოვილების წარმოება.

ლაზები სახით ძალიან ჰგვანან ქართველებს. თავი დიდი აქვთ, შუბლი გაშლილი, ცხვირი არწივისებური, თმა წაბლისფერი, თვალები ცისფერი, ტანი მაღალი და მოყვანილი. ლაზები მეტად მამაცი და სწრაფი ხალხია, გონიერი და მუშა. მეზღვაურობას ძლიერ ეტანებიან და ოსმალეთის ფლოტის ოფიცერი-მეზღვაურნი თითქმის სულ ლაზებისაგან შესდგებიან. ლაპარაკი და საზოგადოებაში ყოფნა მეტად უყვართ, ამასთანავე ერთგულნი და სინიდისიერნი არიან და რასაც დაჰპირდებიან, უთუოდ შეასრულებენ.

ლაზებმა კარგად იციან დედა-ენა ლაზური, რომელიც ძალიან უახლოვდება მეგრულს, მაგრამ ოსმალურადაც ლაპარაკობენ ყველანი. მცხოვრებთა თითქმის მთელი ნახევარი გარედაა გასული სამუშაოდ როგორც ოსმალეთში, ისე რუსეთშიც. გარედ გასულები მეტ წილად დურგლები არიან, ან მკალავები, ან მეზღვაურები. მისდევენ აგრეთვე თუთუნის მოყვანასაც“.

---

## სომხის ერის საკითხი.

### II

სომხის ერის დელეგატებმა ორჯერ ნახეს რუსეთის არმიის მთავარი შტაბი ადრიანოპოლში. დელეგატებმა ნახეს აგრეთვე გრაფი იგნატიევი, რომელმაც დაიმედა ისინი.

8 თებერვალს არქიმანდრიტ რუსჩუკიანის მოპატიჟებით დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, გრაფი იგნატიევი, ელჩი ნელიდოვი და მთელი შტაბი დაესწრენ სომხის ეკლესიაში გადახდილ პარაკლისს, რომლის შემდეგ მივიდენ ვიკარიატის შენობაში. დიდმა მთავარმა დაწვრილებით გამოჰკითხა დელეგატებს სომხეთისა და სომხის ერის შესახებ.

რამდენიმე დღის შემდეგ არქიმანდრიტი რუსჩუკიანი ხელ-ახლა მივიდა დიდ მთავართან, რომელმაც განუცხადა: მალე ვიქნები სან-სტეფანოში და იქ ვნახავთ ერთმანეთსაო.

იმ დროს პეტროგრადში (პეტერბურგში) უკვე მიღებული იყო როგორც დიდი მთავრის-მიერ გაგზავნილი ოსმალეთის და რუსეთის სომხების პეტიციები. ეს უკანასკნელი პეტიცია წარუდგინეს მეფისმოადგილეს კავკასიაში თბილისელმა სომხებმა გრიგოლ არწრუნისთაოსნობით.

ალექსანდრე II გაიცნო პეტიციების შინაარსი და თანხმობა გამოაცხადა, რომ ზავის ჩამოგდების ხელ-შეკრულობაში ოსმალეთთან ყოფილიყო შეტანილი მუხლი ოსმალეთის სომხების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ეს ამბავი აცნობა გრაფმა იგნატიევმა არქიმანდრიტ რუსჩუკიანს და დაუყონებლივ მოსთხოვა მას რეფორმების პროექტი დიდი მთავრისათვის წარსადგენად. დელეგატებმა ყველა ეს წარადგინეს და სთხოვეს, რომ სომხის ხალხს მიჰნიჭებოდა შინაგანი თვითმართველობა, რადგანაც სომხების მიერ დასახლებული ქვეყნები უბრუნდებოდა ოსმალეთს.

რამდენიმე დღის შემდეგ გრ. იგნატიევმა შეატყობინა არქიმანდრიტ რუსჩუკიანს, რომ სანსტეფანოს ტრაქტატის მეთექვსმეტე მუხლი შეიცავს სომხის საკითხს. ამ მუხლში ლაპარაკი იყო ადმინისტრატიულ ავტონომიის შესახებ კავკასიის მოსაზღვრე სომხების ვილაიეთებში (არზრუმში, მუშში, ვანში, ტიგრანაკერტში, სებასტიაში და სხვ.). ამ მუხლის რედაქცია ეკუთვნოდა თვით გრ. იგნატიევს. როგორც ეს შეიტყეს, გაოცებულმა ოსმალეთის რწმუნებულებმა გადაჭრით უარი განაცხადეს. ახლა სომხის ერის საკითხის დაცვა იკისრა პოეტმა ეპისკოპოსმა ხორენ ნარ-ბეიმ, რომელიც ხშირად ნახულობდა დიდ მთავარს ადრიანოპოლში არაქელ-ბეი ტატიანის სახლში, სადაც დიდ მთავარს ბინა ჰქონდა. ეპ. ხორენი ძალიან სცდილობდა როგორმე გაეყვანა გრ. იგნატიევის-მიერ შემუშავებული მუხლი, რომელსაც მხოლოდ იმას უმატებდა, რომ ეჩმიაძინის კათოლიკოსს უნდა ჰქონოდა პირდაპირი უფლება ოსმალეთის სომხებზედაც.

ეს პროექტი არ გავიდა. ნება-უნებურად დათმობა საჭირო შეიქმნა. ბოლოს გრ. იგნატიევის მეცადინეობით სანსტეფანოს ტრაქტატში, რომელიც ხელმოწერილ იქმნა 19 თებერვალს 1878 წ., შეიტანეს მეთექვსმეტე მუხლი, რომელიც სომხების შესახებ ამას ჰლაპარაკობს:

„რადგანაც რუსეთის ჯარების გასვლას იმ ტერიტორიიდან, რომელიც [illegible] სომხეთში, შეეძლო მიეცა [illegible] შეტაკებისა და გამწვავებისათვის, [illegible] ძალიან მავნებელი იქნებოდა [illegible] ორივე ქვეყნის კეთილ განწყობილებისათვის, ამიტომ დიდ პორტას ვალად [illegible] განახორციელოს დაუყონებლივ [illegible] სომხებით დასახლებულ პროვინციებში გაუმჯობესების რეფორმები, რომელთაც [illegible] ითხოვს ადგილობრივი საჭიროება, [illegible] უზრუნველჰყოს სომხები ქურთებისაგან“.

ტრაქტატის მე-27-ე მუხლი ეხებოდა სომხის დელეგატებს და გადმოსახლებულთ: „დიდ პორტას ვალად ედება არც თვითონ დასაჯოს და არც სხვას მისცეს დასჯის ნებართვა ის ოსმალეთის ქვეშევრდომნი, რომელთაც ეჭვით უყურებენ, რომ იმათ ომიანობის დროს კავშირი ჰქონდათ რუსეთის არმიასთან. ოსმალეთის მთავრობამ არ უნდა შეუშალოს ხელი იმ ოჯახებს, რომელნიც მოისურვებენ რუსეთში გადმოსახლდენ რუსების ჯარებთან ერთად“.

ამ მუხლებმა, თუმცა არ დააკმაყოფილეს სომხები, რადგანაც ადმინისტრატიულ თვითმართველობას მოელოდენ, მაგრამ მაინც და მაინც ეს გარემოება წინ წადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ამის შემდეგ სომხის ერის საკითხმა მიიღო საერთაშორისო ხასიათი. ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალურად სიტყვა „სომხეთი“ (არმენია) აღიარა, პირობა დაიდვა, რომ რეფორმები შემოღებული იქნება და გზა გაიხსნა რუსეთისა და ევროპისაკენ საშუამდგომლოდ სხვა და სხვა თხოვნით მიმართვისათვის.

გრ. იგნატიევი, გირსი, დე-ჰამბურჰერი და სხვ. იმედს აძლევდენ ეპ. ნარბეის: ეს მუხლი მომავალში გაფართოვებული იქნებაო. ამგვარად სომხის ერის საკითხი საერთაშორისო საკითხად გარდაიქმნა როგორც აღმოსავლეთის საკითხის ნაწილი. იმ დროს პეტროგრადშიაც მუხობდა ეპისკ. ხორენ ნარ-ბეი, რომელმაც რუსეთის მთავრობას წარუდგინა შემდეგი პროექტი:

1. სომხეთს უნდა ჰყავდეს მთავარი ინსპექტორი სომეხ-გრიგორიანი, რომელსაც ირჩევს ხონთქარი რუსეთის დადასტურებით.

2. სომხეთის გუბერნატორები და მაზრის უფროსებიც უნდა იყვნენ სომეხ-გრიგორიანნი, რომელთაც ირჩევს სომეხ-წარმომადგენელთა კრება და ამტკიცებს პორტა.

3. წესწყობილების ზედამხედველობა უნდა იყოს სომხების ხელში; პოლიცია სომხებისაგან უნდა შესდგებოდეს.

4. სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს შარიატისაგან; მოსამართლენი უნდა იყვნენ სომხები; ქურთების ფეოდალური უპირატესობანი უნდა იქნას გაუქმებული; გარდასახადები ახლად და სამართლიანად უნდა იყოს განაწილებული; საადგილმამულო კანონები უნდა იყოს ახლად გადასინჯული; სომხეთში ოსმალებს უნდა აეყაროს იარაღი.

5. ახალი ადმინისტრატიული კანონები უნდა იყოს გამოცემული სომხეთისათვის რუსეთის დადასტურებით.

6. უნდა აღიარებულ იქნას და უზრუნველყოფილი ზეითუნის ავტონომია.

ალექსანდრე II-მ ეს პროექტი მოიწონა, მაგრამ მისი განხორციელება რუსეთის სურვილზე არ იყო დამოკიდებული მარტო, ოსმალეთის მთავრობამ დაუწყო დევნა სომხებს. სახელმწიფოთა კონფერენცია ჯერ არ იყო მოწვეული. მის მოწვევას მოუთმენლად ელოდენ სომხები.

სომხის კონსერვატიული პრესსა კავკასიაში სან-სტეფანოს ხელ-შეკრულობის გამო თვითმართველობას მოითხოვდა ოსმალეთის სომხეთისათვის და უარჰყოფდა რუსეთთან შემოერთებას (ანექსიას). გრ. არწრუნი კი თავის „მშაკში“ ამბობდა, რომ, თუ თვითმართველობა შეუძლებელია, მაშინ უეჭველად რუსეთმა უნდა შემოიერთოს სომხის ვილაიეთებიო. რუსის გაზეთები, მაგ., „მოსკოვსკია ვედომოსტი“, მოითხოვდენ სომხებისათვის ისეთსავე უფლებებს, როგორსაც ბულგარებს აძლევდენ. „პრავოსლავნოე ობოზრენიე“ პირდაპირ მოითხოვდა მცირე აზიაში სომხის სამეფოს აღდგენას. ამასვე სწერდენ „პეტერბურგსკია ვედომოსტი“.

სან-სტეფანოს ხელ-შეკრულობის შემდეგ ინგლისმა მოითხოვა ევროპის კონგრესის მოწვევა. პატრიარქმა ვარჟაპეტიანმა თავის თანამოაზრეებით გარდასწყვიტეს მიემართათ კონგრესისათვის როგორც ხელშეკრულობის მე-16-ე მუხლის დასაცავად, ისე ავტონომიის მოსაპოვებლად. შეიმუშავეს მათ სომხეთის რუკა (ქარტა) სტატისტიკური ცნობები შეაგროვეს და სპეციალური კომისიაც აირჩიეს. ეს კომისია მივიდა სტამბოლს 1878 წ. 8 მარტს. დელეგატებათ იყვნენ ყოფილი პატრიარქი ხრიმიანი და მისი თარჯიმანი მინას ჩერაზი...

---

## თავისუფალი ტრიბუნა.

**ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ ჩვენ საჭიროდ ვთვლით ყველა ჩვენი მოღვაწეებისაგან თავიანთ აზრის გამოთქმას დღევანდელ ამბების და მდგომარეობის შესახებ. სიჩუმე ამ ხანად ძალიან დიდი დანაშაულია ჩვენი ერის წინაშე. არავინ უწყის, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ საშინელ ბრძოლას ერებისას. მით უფრო მოვალენი ვართ შეძლებისდაგვარად გავითვალისწინოთ ყოველივე, ავწონ-დავწონოთ სხვადა სხვა აზრი, სხვადასხვა გარემოება, პირობები და ისე გამოვარკვიოთ გეგმა მუშაობისა და მოქმედებისა დღევანდელ დღეს. შეუძლებელია ამ ჟამად აზრის მცონარეობა და უმოქმედობა. ჩვენ დიდი სიამოვნებით დავუბეჭდავთ ყველა ჩვენს ცნობილ და გავლენიან მოღვაწეს წერილებს ამ საგანზე, ხოლო მათმიერ ხელ-მოწერილებს, თუნდ რომ არც ვეთანხმებოდეთ მათ აზრებს. საჭიროა შეძლებისდაგვარად გულახ[illegible]ილი ბაასი. ხალხის ფართო წრეები მოსჩერებიან გავლენიან პირებს და ითხოვენ მათგან პასუხს დღევანდელ მძიმე საკითხებზე. ამ ჟამად ჩვენ ვბეჭდავთ ჩვენი მოღვაწის ბ. ნიკო თავდგირიძის წერილს სრულებით უცვლელად. რედ.**

### ჩვენი ხალხის პოლიტიკური შეხედულების გამორკვევის საჭიროება.

მეფე ერეკლეს ეპოქის შემდეგ საქართველოს ისეთი ხანა არ დასდგომია, როგორიც დღეს არის. მთელი ჩვენი წარსული საუკუნის ისტორია გვიხსნის იმას, რომ ჩვენ საერთო ხალხური აზრი, შეხედულება არას დროს არ გვქონია ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლის გადაწყვეტის დროს. ჩვენ ხალხს, როგორც საუკეთესო საერთაშორისო გარემოებაში მყოფ ერს, ყოველ აღმოსავლეთის ომის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არავისთვის ასახსნელი არ არის ის სიმართლე, რომ მხოლოდ ჩვენი ხალხის მონაწილეობა-დახმარებით და თანამშრომლობა-თანაგრძნობით გაიდგა ფესვი და დამკვიდრდა აღმოსავლეთ აზიაში ამ ჟამად ძლიერი რუსეთის იმპერია. ვინც-კი ისტორიულ თვალსაზრისით ხსნის მოვლენათა მსვლელობას, ის უსათუოდ გზმოიტანს იმ აზრს, რომ არაფერი ქვეყნიერობაში უინტერესოდ, ეხლანდელი ტერმინით რომ ვსთქვათ, „უკომპენსაციოდ“ არ ხდება. ასე იყო ჩვენ წარსულ ცხოვრებაშიაც და ასე იქნება მუდამ; მაგრამ, თუ ჩვენ ხალხს არავითარი ნიშანი არ აჩნია „კომპენსაციის“, ეს თვით ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებული პირობების ბრალია.

მთელი რუსეთთან შეერთების ასი წლის ისტორია გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ხალხს რუსეთის იმპერია როგორც საჭირო ძალას დიდად აფასებდა უკანასკნელ ხანამდის, როცა ჩვენი მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების ბედ-იღბლის გადაწყვეტაში შესუსტდა, მაგრამ არას დროს ჩვენ საერთო ეროვნული მოთხოვნილება არ გვქონია, არ წამოგვიყენებია ჩვენი ხალხის მოქმოქმედებზ, შრომა მსხვერპლის დასაჯილდოებლად. გიორგი მეთორმეტისაგან დაწყებული ეხლანდელ ჩვენებურ „პროპორშჩიკებამდე“ ჩვენი ხალხის ინტერესს ვსახავდით მოწინავე პირების პირად ჯილდო-წარჩინების და დასაჩუქრება — სახით. — ალექსანდრე მეორეს საქართველოში მობძანების დროს, როცა ჩვენ მარშლებს, როგორც ერთადერთ გამომხატველთ ქართველთა საერთო მოთხოვნილებისას, შეეკითხენ რა სურს ქართველებსო, იმათ მოწიწებით მოახსენეს: „კონვოიში“ ნამსახურევი განსაკუთრებული ნიშანი უბოძეთო და ეს სურვილი ქართველების დაუყონებლივ შესრულებულ იქმნა. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე აქ, რომ თვალსაჩინოდ დაგვესახა ის, თუ რამდენად შეუგნებელი, ჩვენი ხალხის ინტერესთან შეუსაბამებელი იყო ხშირად და, შეიძლება ითქვას, ყოველთვის ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილება. არ ითქმის ის, რომ რუსეთის მმართველ წრეებს იმ დროს, როცა ჩვენ ხალხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო, სახელმწიფო საქმეებში, არ სდომოდეს ჩვენი ხალხის მომადლიერება, დაჯილდოება, მაგრამ არას დროს ჩვენებური საზოგადოებრივი აზრის გამომსახველთ, ჩვენ წარმომადგენელთ ეს კითხვა არ წამოუყენებიათ. კაცობრიობის ცხოვრებაში რომაელთა პრინციპს „do ut des“ (მოგცემ რამეს, თუ შენც თავის მხრივ მეც რამეს მომცემო) ძლიერი და უტყუარი მნიშვნელობა აქვს. ეს „do ut des“ ჩვენ ცხოვრებაშიაც იყო: რუსეთს დიდად უზის ჩვენი მოწინავე რაინდ-მეომრების და აზნაურთა წარჩინებული წარმომადგენლების დაჯილდოება და ეჭვს გარეშეა ის, რომ თუ ჩვენი ხალხის წარმომადგენლებს ჩვენი ერის არსებითი საჭიროება წამოეყენებიათ მოსწრებულ დროზედ, აუცილებლად დაკმაყოფილებული იქნებოდა.

სრულიად მართალია ჩვენი აზნაურობის და მოწინავე მმართველი წრეების ინსტიქტიური გრძნობა-წადილი რუსეთის იმპერიასთან ერთგულება-ძმობა-ერთობის საჭიროების დაცვისა.

ისე მოეწყო ისტორიულად ჩვენი ცხოვრება, რომ ჩვენ ხალხს რუსეთს გარეშე გზა არა აქვს: როგორც წარსულში ჩვენი სარწმუნოების შენახვა ძლიერი სახელმწიფოს დაუხმარებლად არ შეიძლებოდა, ისე ამ ჟამად ეროვნული თვით-არსებობის დაცვა ძლიერის სახელმწიფოს მფარველობის გარეშე წარმოუდგენელია.

ჩვენი უბედურება და ჩვენი გარემოების ტრაგიზმი იმაშია, რომ დღემდის ჩვენ გულწრფელი, გამორკვეული დამოკიდებულება ვერ დაგვიმყარებია რუსეთის მმართველ წრეებთან. დღემდის ყველა ჩვენი საზოგადო მოღვაწე გულში ერთს ჰგრძნობს და ხმა მაღლა, გასაგონათ კი სხვას გაიძახის, თითქოს ჩვენ რამე დასძრახისი, სადანაშაულო გრძნობა — განწყობილება გვქონდეს. დღემდის, უკანასკნელი აღმოსავლეთის ომის შემდეგ, ორმოცი წლის განმავლობაში, მართალია, ჩვენ არ გვქონია მარჯვე შემთხვევა ჩვენი გადაჭრილი აზრი და მოთხოვნილება წამოგვეყენებია, მაგრამ დღეს კი გარემოება ისე შეიცვალა, რომ ჩვენ კვლავ გადამწყვეტი მნიშვნელობა გვეძლევა ისტორიულ გარემოებათა მსვლელობაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ქართველობის ცხარე და გულწრფელი მონაწილეობით შეიძლება ამ ჟამად ოსმალეთისაგან ძლიერი რუსეთის იმპერიისათვის უკადრისი შემთხვევების თავიდან აცილება: ხშირად, მით უმეტეს აზიის ქვეყნებში, სიმრავლეს ჯარისას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს: რამდენიც ხერხს, გამოცდილებას, მეომართა ზნე-ჩვეულების და ხასიათის ცნობას; ამ მხრით ქართველობა ერთადერთი ერია კავკასიაში, რომელსაც დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს იმპერიას; თვით რუსეთის სახელმწიფოსათვის კი არსებითად საჭიროა ამ ჟამად და სამუდამოდ ქართველი ხალხის გულის მოგება: წავიდა ის დრო, როდესაც [illegible] ან ორი-სამი სამხედრო პირის [illegible] წარმომადგენლების დაჯილდოებით ხალხის ნდობა-თანაგრძნობას მოიპოვებდენ, ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ მოქალაქობრივი აზრის წარმომადგენელთ უფრო მისდევს და პატივს სცემს ხალხი, ამიტომ თუ ხალხის გატაცება, ერთგული თანაგრძნობა უნდა იმპერიას გამოიწვიოს, საჭიროა საერთო „ლოზუნგი“, რომელიც ხალხს აღფრთოვანებაში მოიყვანს, გაიტაცებს, გაახალისებს. ხალხის წარმომადგენელნიც ამ ჟამად თავის პირად ინტერესს საერთო ეროვნულ მიზნის განხორციელებაში ჰხედავენ. ასე რომ მათი დაჯილდოება ამ ჟამად მარტო ჯვარ-მედლებით არ შეიძლება.

ჩვენი მიზანია მივსცეთ ქართველ ხალხს ერთხელ და სამუდამოდ საშუალება გულ-წრფელად გატაცებით რუსეთის ინტერესი და ძლიერება თავის პირად არსებით საქმედ გახადოს; ჩვენი სურვილია მივსცეთ ხალხს უტყუარი საბუთი იმის, რომ მის მსხვერპლი, მისი ერთგულება და თავგანწირვა მოძმე და მოკავშირე სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლის დროს, არ დარჩება უმნიშვნელოდ მისი ერის ცხოვრებისათვის, რომ მისი ძმური მოქმედება ძმურსავე ერთგულება-მონაწილეობას გამოიწვევს საერთო გამარჯვების შედეგების სარგებლობის დროს.

ამ აზრის გატარება, ამ მიზნის დაცვა, გავრცელება ერთნაირად საჭიროა და სასარგებლო, როგორც რუსთა სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, ისე ქართველთა კეთილდღეობის საქმისათვის. არას დროს ასეთ განსაცდელში არ ყოფილა ქართველი ხალხი, როგორც ამ ჟამად: ძველად ჩვენი სახელმწიფოებრივი წესების მოქმედების ხანაში და რუსეთის მფარველობის დროსაც ყოველ ომიანობის შემთხვევაში ქართველი მეომრები და სარდლები მედგრად იდგნენ საზღვრებზედ და იცავდნენ ჩვენ ხალხს მტერთა შემოსევისაგან; დღეს კი გარემოება სრულიად სხვანაირია: ჩვენი ხალხის საუკეთესო ჯილი მეომრები — 120 ათასზე მეტი ჯარის კაცი შორს ქვეყნებში ებრძვიან რუსთა მტრებს; აქ კი ჩვენ ქვეყანაში, როდესაც მტერი კარზედ მოგვადგა ჩვენთაგანი არც ერთი არც მეომარია, არც სარდალი

. . . . . . . . . . . . . .

ეს გარემოება აფრთხობს, აშინებს ხალხს, განსაკუთრებით შავი ზღვის პირად დაბინადრებულს; მცხოვრებნი რაღაც ინსტინქტიურად ჰგრძნობენ თავიანთ საშიშ მდგომარეობას და გარბიან, სტოვებენ სახლკარს, ყოველივე ნაშრომ-ნაოფლარს. რა თქმა უნდა, რუსეთს ამ ჟამად ჩვენი ქვეყნის დაცვაზედ უფრო დიადი მიზანი აქვს: უფრო მნიშვნელოვანი საქმე ევროპის [illegible]ვრებზედ, მაგრამ ჩვენ კი არ შეგვი[illegible]ა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ჩვენს ქვეყანას რაიმე ზიანი მოუვიდეს მაშინ, როდესაც მტერი საზღვრებზეა მომდგარი. ყოველივე ღონე უნდა მოვიკრიბოთ, რომ დავიცვათ ჩვენი ხალხის ოფლით და ტანჯვა-წვალებით დაფუძნებული სახლ-კარი და მიწა-წყალი. საჭიროა ჩვენი ხალხის ერთგულთ მიეცეს საშუალება ყოველივე ღონის ძიებით დაიცვან ჩვენი ქვეყანა. ამ აზრით ყველა წოდება, ჯგუფი და პარტია უნდა გავერთიანდეთ და შევკავშირდეთ.

ნიკო თავდგირიძე.

---

### სტამბოლელი ქართველი ჩვენს რედაქციაში.

13 ნოემბერს ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ამ დღეებში სტამბოლიდან წამოსული ქართველი კათოლიკე ივანე სიდამონ[illegible], რომლის თავ-გადასავალი რუსეთის გაზეთებში იყო მოთხრობ[illegible]ლი.

თითონ დაწვრილებით აი რა ბო:

ნე სიდავა, 12 წელიწადი თურმე, ებდა რუსის საავადმყოფოს სტამბოლ. როდესაც ომი დაიწყო ოსმალეთსა უსეთს შუა, ივ. სიდავა სტამბოლში ჩა, რადგანაც უპატრონოდ ვერ ტოვა ჩაბარებული საქმე. ივ. სიას ამასთანავე ოსმალებისა არ ეშიდა, რადგანაც მრავალი მეგობარი ყდა მათ შორის და მრავალი ოსმალნი სარგებლობდა საავადმყოფოთი. გრამ ბოლოს, როცა ბ. სიდავამ დატყო, რომ გარემოება დღითი-დღე უავდებოდა, მან გადასწყვიტა საქარველოსაკენ წამოსვლა ბულგარეთმინიის გზით. მოსძებნა როგორც ნა დროებითი თავის მოადგილე, ჩაარა საავადმყოფო და 24 ოქტომრს ჩვენებური სტილით წამოსვლა აპირა. მივიდა თუ არა ხაბაგით ვოგლე, პოლიციამ ხელი სტაცა და არ უშვა. იძულებული გახდა მიემართა ალიის საელჩოსათვის, რომელსაც ისრი აქვს რუსეთის ქვეშევრდომა მზრუნველობა, რომ ნებართვა აე იმის წასვლისათვის. საელჩომ გაგზავნა ოსმალეთის სათანადო მთავრობასთან თავის დრაგომანი, რომელსაც უპასუხეს: სიდავამ უნდა გადიხადოს როპიელებზე დაწესებული ახალი გადასახადი და მაშინ შეიძლება წავიდეო. როცა ივ. სიდავამ დააპირა ამ რდასახადის შეტანა, მას გამოუცხადეს: საავადმყოფოს მოსამსახურეები განთავისუფლებულნი არიან ამ გადასახადისაგანაო; თან ნება დართეს სულიყო. როგორც კი მივიდა ვოგზალზე, ხელ-ახლა არ გაუშვეს და დააბრუნეს. მიჰმართა კიდევ იტალიის საელჩოს, მაგრამ ვერა გააწყო რა. მოთხოვეს მას პოლიციაში განეცხადებინა თავის ბინა და ვინაობა, რაც მან ასრულა. იქ უთხრეს, ახლო ხანში წასვლის ნებართვას მიიღებო, მაგრამ მაო იყო ცდა. 27 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე პოლიციელი მოვიდა ივ. სიდავას ბინაზე და მეკარეს უთხრა: პოლიციაში ეხლავე უნდა წამოჰყვეს თქვენი მდგმურიო. ივ. სიდავამ შეუთვალა პოლიციელს: ავადა ვარ და მიტომ ახლა ვერ ვასრულებ მოთხოვნასა, ხოლო მეორე დღეს დილითვე გამოვცხადდებიო. პოლიციელი წავიდა, ორი საათის შემდეგ კიდევ დაბრუნდა, ბრძანება განიმეორა. სიდავამ ისევ ის უპასუხა. პოლიციელი გაბრუნდა. ღამის 2 საათზე ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელები მოადგნენ ივ. სიდავას ბინას და სურდათ ძალით წაეყვანათ ის პოლიციაში. ივ. სიდავა ნება-უნებლიედ დაემორჩილა ძალას და გაჰყვა. მიიყვანეს პოლიციის უბნის ნაწილში; მაგრამ იქ არავინ არაფერი ჰკითხა-რა. შეეკითხა ერთს პოლიციელს, რისთვის მომიხმეთო, მაგრამ იმან ვერაფერი უპასუხა; უფროს პოლიციელს კი ეძინა. შემდეგ შევიდა ის პოლიციელი უფროსთან და გააღვიძა. უფროსის განკარგულებით ივ. სიდავა წაიყვანეს სტამბოლის უმთავრეს საპოლიციო ნაწილში, რომელიც მდებარეობს ქალაქის იმ უბანში, რომელსაც **სტამბულს** ეძახიან და რომელიც 6 ვერსტით იყო დაშორებული იმ საპოლიციო ნაწილს, რომელშიაც პირველად მიიყვანეს ივ. სიდავა. მიიყვანეს თუ არა ივ. სიდავა ამ უმთავრესს ნაწილში, ის დაამწყვდიეს ერთს ბნელ ოთახში. როდესაც მან პროტესტი განაცხადა, ამისთანა ოთახში მე ვერ გავჩერდებიო, მაშინ სადღაც უფრო ვიწრო სარდაფში ჩააგდეს. საშინელ წვალებაში იყო დილამდის. მეორე დღეს დილით ადრე ის გამოიყვანეს სარდაფიდან, აიყვანეს ზევით სართულში, გადიღეს მისი სურათი. შუადღისას ივ. სიდავა მიიყვანეს პოლიციის უფროს ბედრ-ბეისთან, სადაც დახვდა მისი მეგობარი ქართველი მაჰმადიანი, რომელიც მოსულიყო მის გადასარჩენად. ის გაანთავისუფლეს იმის წყალობით და იზმიდის (მცირე აზიაში) მაგიერ, სადაც ჰგზავნიდენ, ნება დართეს საქართველოში დაბრუნებულიყო. ბ. სიდავა გამოეშურა ოჯახობით ჩვენკენ: ის ქუთაისელია. იგი მივიდა სადგურ ახალ მუსტაფა-ფაშამდე და აქედან რუშჩუკსა, ბუქარეშტსა და უნგენზე წამოვიდა საქართველოში. უკვე ხუთი-ექვსი დღეა, რაც თბილისს მოვიდა.

ივ. სიდავამ გადმოგვცა ისიც, რომ სტამბოლის მცხოვრებთა უმრავლესობა ომის წინააღმდეგია, მაგრამ ახალ-ოსმალთა კომიტეტის ტერორისა ეშინიათ და ვერას ჰბედვენ. გერმანელები სრულებით გაბატონდენ სტამბოლში. ფლოტი, პოლიცია, ერთის სიტყვით უმთავრესი მართვა-გამგეობა და ცენზურაც მათ ხელშია. ხალხს ისე აჩვენებენ, თითქო რუსეთმა პირველმა დაიწყო საომარი მოქმედება, მაგრამ ხალხს ეს არ სჯერაო.

# ევროპის ომი

### დეპეშები პეტროგრადის სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 15 ნოემბ. უმთავრეს სარდლის შტაბისაგან. პროშოვიცე—ბრჟესკო-სტარე—ბოხნია—ვისნიჩის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა გაიმარჯვეს. 13 ნოემბერს ავსტრიის არმია დამარცხდა. ჩვენ შვიდი ათასზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ და 30 ზარბაზნამდე (მათში ათი ცხენებ-შებმული) და 20-ზე მეტი ტყვიის მტყორცნელი. ჩვენმა ბატალიონმა ბრჟესკოსტარეში შევარდნის დროს ტყვედ დაიჭირა 31 გონვედის პოლკიდან დარჩენილნი: კომანდირი ოცი ოფიცრით და 1250 ჯარისკაცი და აილო დროშა. ჩვენ ვსრესთ აგრეთვე მათი ავტომობილი არმიის შტაბის ოფიცრებით, თავ-გამოდებით მივდევთ გაქცეულ მტერს.

ლოძთან შეტაკებაში, რომელიც 14 ნოემბერსაც სწარმოებდა, ზოგი ერთ ადგილას ჩვენ წინ წაწევა მოვახერხეთ. კარპატებში ჩვენი ჯარები ებრძვიან მრავალ ავსტრიელებს.

**პეტროგრადი,** 15 ნოემბ. **ოფიციალურად.** გენერალურ შტაბის მთავარ გამგეობისაგან. საზოგადოებაში სხვადასხვა ხმები დადის გერმანელებზე ვისლასა და ვარტას შუა ჩვენს გამარჯვების სიდიდის შესახებ. ამ ხმებს ზოგიერთს გაზეთებში ავრცელებენ კერძო კორესპონდენტები ომის რაიონიდან. ამისა გამო გენერალური შტაბის მთავარი გამგეობა საჭიროდ სცნობს ყველას აცნოს, რომ ეს ხმები არ ემყარება ფაქტიურ სიმართლეს, და ამიტომ ყველანი სიფრთხილით უნდა ეპყრობოდენ მათ. ჯერ ისევ ომის დაწყებისათანავე, გენერალური შტაბის მთავარმა გამგეობამ თვის მოვალეობად დასახა გაეფრთხილებინა საზოგადოება იმ ცნობების შესახებ, რომელნიც არ მომდინარეობენ ოფიციალურ წყაროდან. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანელების პლანი გაერღვიათ მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენი ჯარების შუაგული, და გარს შემორტყმოდენ ჩვენი არმიის ნაწილს, სრულებით დამარცხდა. უმთავრეს სარდლის შტაბის ცნობებიდან სჩანს, რომ გერმანელებს რზგოვა-ტუშინიდან ბრეზინაზე სტრიკოვისაკენ უკან დახევა მოუხდათ არა სახეირო პირობებში და ამ დახევის დროს მტერს დიდი ზარალი მოუვიდა, მაგრამ შეტაკებები ჯერ არ დამთავრებულა; ბრძოლა მთელ ფრონტზე ჩვენთვის კარგად მიმდინარეობს, თუმცა, ჩვენი მტერი განაგრძობს მედგარ წინააღმდეგობას. ამ გვარად ეს ოპერაცია არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს და ამისათვის დროა საჭირო. ჩვენი ჯარები სავსენი არიან რწმენით, რომ საჭიროა ბოლომდე მიიყვანონ თავიანთი ძლევა-მოსილი განზრახვა და სძლიონ მტრის მედგარი წინააღმდეგობა.

**რომი.** 15 ნოემბ. ტაკიონესკუ გაზეთ „იდეა ნაციონალეს“ ტელეგრამით ატყობინებს, რომ რუმინიაში არ არსებობს პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ემხრობოდეს ავსტრიას ანუ ნეიტრალიტეტის დაცვის აზრს. ერთად-ერთ საკითხის გამო სწარმოებს დავა, თუ როდის უნდა მიემხრონ რუმინელები სამთა შეთანხმებას ომის დასაწყებად. ყოველი რუმინელი ძლიერ მოსურნეა, რომ რუმინიამ და იტალიამ ერთად დაიწყონ ომი, რაც შეიძლება მალე საერთო იდეალების დასაცავად.

**თეოდოსია,** 14 ნოემბ. აქედან წავიდა ომის ასპარეზზე პოლონელ ლეგიონერთა რაზმი ბ. გორჩინსკის მეთაურობით.

**ბუქარესტი,** 14 ნოემბ. ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა: „რადგანაც ოსმალეთის კონსულებს რუსეთში საერთაშორისო უფლების წინააღმდეგ ეპყრობიან, ამიტომ მთავრობამ დაადგინა რუსეთის ქვეშევრდომთ მოუსპოს უფლება ოსმალეთიდან წასვლისა. ისინი, ვინც ზღვის პირად სცხოვრობენ და აღკრძალულ სამხედრო ნაწილებში, იქნებიან გაგზავნილი მცირე აზიის მოშორებულ პროვინციებში. რუსეთის კონსულები, რომელნიც დაჭერილი არიან ოსმალეთში, გადასახლებულნი იქნებიან მთავრობისაგან ნაჩვენებ ადგილებში, სანამდის რუსეთი ნებას არ მისცემს ოსმალეთის კონსულებს სამშობლოში დაბრუნდნენ. საფრანგეთის და ინგლისის ქვეშევრდომთ აგრეთვე აღეკრძალებათ ოსმალეთიდან წასვლა; ეს უფლება არ ერთმევათ მხოლოდ ბელგიელებს. სერბიელ და შავგორელ ქვეშევრდომებზედაც გავრცელებულია ის წესები, რომელიც დადგენილია რუსეთის ქვეშევრდომთათვის.

**პეტროგრადი,** 15 ნოემბ. მინისტრთა საბჭომ დაადგინა მიეცეს ორ მილიონ ნახევარი მანათი სრულიად რუსეთის საერობო კავშირს და აგრეთვე კავკასიის ქალაქთა კავშირსაც ავადმყოფ და დაჭრილ მეომართა დახმარების მოსაწყობად კავკასიის რაიონში.

**ბორდო.** 14 ნოემბ. საზღვაო შტაბის ოფიციალური ბიულეტენი გვაცნობებს: ხმელთა შუა ზღვაზე ინგლის საფრანგეთის ესკადრას კიდევ ალყა აქვს შემორტყმული ადრიატიკის ზღვისა და დარდანელისათვის. იგი იცავს ეგვიპტეს ნაპირებს და სუეცის არხს. ჩრდილოეთის ზღვაში ინგლისის და საფრანგეთის გემები განაგრძობენ ზვერავს, მათ აღმოაჩინეს გერმანელების ბატარეები ბელგიის ნაპირებზე. გერმანიის კრეისერები 19 ოქტომბრის საზღვაო ბრძოლის შემდეგ ისევჩილის წყლებში იმყოფებიან.

**პარიზი.** 14 ნოემბ. პუანკარემ გადასცა მთავარსარდალ ჟოფრს მედალი სამხედრო ღვაწლისათვის

ოფიციალური ცნობა: ომის ასპარეზზე გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

## კვირის განმავლობაში.

11 **ნოემბერი.** ოსმალეთის საზღვარზე შესამჩნევი ბრძოლა არა ყოფილა რა.

პოლონეთში მდ. ვისლასა და ვარტას შუა ბრძოლა გრძელდებოდა. რუსის მხარეზე იყო გამარჯვება.

გალიციაში ავსტრიელებმა გაანთავისუფლეს ნოვი სანდეცი (სონჩი).

12 **ნოემბერი.** პოლონეთში ლოძიდან ჩრდილოეთით უკან იხევდენ სტრიკოვ-შადეკ-ზდუნსკავოლია-ვოზნიკის ლაინიდან. ველიუნის მხრიდან შეამჩნიეს გერმანელების წინ-წამოწევა რომელთაც განზრახვა აქვთ მოუარონ რუსის ჯარის მარცხენა ფრთას.

არზრუმის გზებზე რუსის ჯარი სდევნიდა ოსმალოებს. ალაშკერთის კარაკილისის სამხრეთით რუსები მარჯვედ ებრძოდენ ქურთებს. ხანისურის უღელტეხილის რაიონში და დილმანიდან კოტურისაკენ გადასავალზე ოსმალები დამარცხდენ. ოსმალეთის არტილერიის ნაწილი ხელში ჩაიგდეს რუსებმა.

საფრანგეთ—ბელგიაში გერმანელები მედგრად ესროდენ ყუმბარებს იპრს, სუასონს და რეიმსს. არგონში ფრანგებმა მოიგერეს გერმანელების თავდასხმა.

სერბიელებმა დიდი ბრძოლის შემდეგ უკან დაახევინეს ავსტრიელებს.

13 **ნოემბერი.** პოლონეთში ლოძის ბრძოლა გრძელდება. გერმანელ ქვეითი ჯარს თავს დაესხა რუსის ცხენოსანი ჯარი. პირველმა დაჰკარგა მრავალი ხალხი და მძიმე არტილერია. ჩენსტოხოვო-კრაკოვის ფრონტზე რუსები მარჯვედ იბრძვიან. 9 ნოემბრის განმავლობაში აქ აყვანილია 6.000 ტყვე. ვარშავის გუბერნატორი ბარონ კორფი გერმანელებმა ტყვედ წაიყვანეს.

სერბიაში ბრძოლა გრძელდება ლაზარევაც-მაიონიცას რაიონში.

შვეიცარიამ პროტესტი განაცხადა ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო მოკავშირეთა მფრინავების-მიერ, რომელნიც გადაფრინდენ შვეიცარიის ტერიტორიაზე იმ მიზნით, რომ დასცემოდენ ფრიდრიხსჰაფენში ცეპელინების ქარხანას.

სპარსეთის ყურეში ინგლისელებმა დაიპყრეს ბასრა.

14 **ნოემბერი.** პოლონეთში გერმანელი ჯარები, რომელთაც მოახერხეს სტრიკოვ-ბრეზინ-კოლიუშკი - თუშინის რაიონში შესვლა, სცდილობენ ჩრდილოეთისაკენ გაიწიონ, რადგანაც ყოველმხრით მათ რუსის ჯარები აწვებიან. აყვანილია ტყვეები, მძიმე და სუბუქი ზარბაზნები. ლოვიჩთან ბრძოლაში რუსები იმარჯვებენ. ჩენსტოხოვო-კრაკოვის ბრძოლაში გამარჯვება ხვდა რუსებს.

კარპატების უღელტეხილის იქით რუსები გარს შემოეხვივნენ ავსტრიელებს სადგ. მეზო-ლაბორეცის რაიონში და ტყვედ წაიყვანეს გენერალი, 40 ოფიცერი და 3.5000 ჯარისკაცზე მეტი. ნადავლი: სამი მატარებელი და ტყვიის მტყორცნელები. რუსებმა დაიჭირეს ქალ. გუმენნოე (გუმენნე) უნგრეთის ბარში გასასვლელთან.

ბელგიაში მოკავშირეთა ფლოტი ყუმბარებს ესროდა ზეებრიუგეს.

სერბიაში ლაზარევაც-მაიონიცას რაიონში ბრძოლა გრძელდებოდა.

პორტუგალიამ გადასწყვიტა, ინგლისთან ხელშეკრულობის თანახმად, ჩაერიოს ომში.

15 **ნოემბერი.** პოლონეთში ლოძის ბრძოლა ვითარდება რუსების სასარგებლოდ. გერმანელები, რომელნიც მივიდენ ბრეზინამდის, იძულებულნი არიან უკან დაიხიონ სტრიკოვის რაიონში და ძალიან ზარალობენ.

ავსტრიის ფრონტზე 12 ნოემბრის განმავლობაში რუსებმა წაიყვანეს ტყვედ 8.000 კაცი, ამათ შორის ორი პოლკი თავიანთ კომანდირებითა და ოფიცრებით, რუსების ჯარები გადავიდენ მდინარე რაბუზე (კრაკოვიდან 25 ვერსტზე აღმოსავლეთით). ოსმალეთის ჯარები მრავლად გადაჰყავთ ადრიანოპოლიდან ტრაპიზონში.

საფრანგეთ-ბელგიის ფრონტზე არა მომხდარა-რა.

სერბიაში მკაცრი ბრძოლა ლაზარევაც მაიონიცას რაიონში გრძელდებოდა.

16 **ნოემბერი.** პოლონეთში მდ. ვისლას მარცხენა ნაპირზე რუსების ჯარებმა, რომელნიც ქვემო ბზურიდან მოდიოდენ, მიაღწიეს გომბინს. ბრძოლის ცენტრში რუსებმა დაიჭირეს ქალ. ბრეზინი და მთელი რიგი სოფლებისა მდ. მორგის ხეობაში. რუსები წინ მიიწევენ. ბრეზინსა და გლოვნოს შუა რუსის ცხენოსანი ჯარი თავს დაესხა გერმანელთა ქვეითი ჯარს. ზგერჟ-სტრიკოვის რაიონში გერმანელებს თავს დაეცნენ რუსები ლოძის მხრით. ზგერჟსა და ზდუნსკავოლიას შუა გერმანელები სხედან თხრილებში.

დასავლეთ გალიციაში რუსებმა ხიშტიან ბრძოლაში აიღეს ბოხნია, რომელიც კრაკოვიდან 30 ვერსტზეა. მდ. ვისლას მარჯვენა ნაპირზე რუსის ჯარი სდევნის ავსტრიელებს, რომელნიც უწესოდ უკან იხევენ კრაკოვის რაიონში.

სერბიაში ბრძოლამ არავითარი ხეირიანი შედეგი არა მოუტანა რა არც ერთ მხარეს.

ინგლისში შირნესში ქვაბის აფეთქების გამო დაიღუპა ინგლისის ჯავშნოსანი „ბულვარკი“. მრავალი მეზღვაური დაიღუპა.

ოსმალეთში დიდი ბრძოლა არ ყოფილა. უკანასკნელ დროს ბრძოლაში ოსმალთა ჯარებმა ნახეს დიდი ზრალი: 28 და 29 დივიზიის ყველა პოლკებმა დაჰკარგეს ნახევარი, თითქმის სრულიად მოსპეს რუსებმა 88 პოლკის 2 ბატალიონი, ძალიან დაზარალდა 102 პოლკი, აგრეთვე 23 და 24 საკავალერიო პოლკები. დიდი ზარალია 34 დივიზიის პოლკებში. მასლაჰატთან, როგორცა სჩანს, მოკლულია 34 დივიზიის უფროსი. 33 დივიზიის უფროსი გაიქცა, მის მაგიერ სხვა დააყენეს. ოსმალთა არმიის სარდალი მაღლიერი არ არის ქურთების მოქმედებით და გადასწყვიტა მათში რეფორმა მოახდინოს.

საფრანგეთ-ბელგიის ფრონტზე გერმანელების არტილერიის სროლა შესუსტდა. რეიმსს ძალიან უშენდენ ყუმბარებს, როცა მას ათვალიერებდენ ნეიტრალურ ქვეყნის ჟურნალისტები. სხვაგან თვალსაჩინო არა მომხდარა-რა.

## ახალი ამბები

✦ ამ დღეებში ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ ნაწილში კარგად ცნობილი იოსებ ქ-ძე გოგიტიძე, 65 წლის კაცი. იგი ითვლებოდა საუკეთესო მცოდნედ საპენსიო, შემწეობების, სასულიერო და სხვა ამ გვარ საქმეთა-წარმოებისა. მისი მეოხებით გურიაში ძლიერ ბევრი დაჭრილები წინანდელ ომებშიქვრივები და ობლები იღებენ სათანადო დაწესებულებათაგან ნივთიერ შემწეობას და საზრდოს. ის თავის ხელობას არ აძლევდა აბლაკატურ ხასიათს, არ შეჰყავდა ხალხი ხარჯში უიმედო საქმეების დაწყებით. მის დაკრძალვას აუარებელი ხალხი დაესწრო.

✦ დღეს 17 ნოემბერს სახალხო სახლში ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზედ ახალი პიესა „ქვის მთლელნი“ თარგ. ს. სანდალასი. პიესაში დასურათებულია მუშათა ცხოვრება. ცეცხლისაგან დაზიანებული ახალი დეკორაციები ამხანაგობამ აღადგინა. პიესაში მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობნი ამხანაგობისა. რეჟისორობს მ. ქორელი.

✦ 9 ნოემბერს თბ. ქალაქის გამგეობის თაოსნობით არტისტულ საზოგადოების დარბაზში გაიმართა დიდი ნადიმი სრულიად რუსეთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარის მიხ. ჩელნოკოვის და სრულიად რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებულთა ვ. შლიპპეს და გრ. პ. შერემეტევის პატივსაცემად. მიწვეულნი იყვნენ რუსეთის და ადგილობრივი პრესის, აგრეთვე სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ამათ გარდა დაესწრენ ხმოსნებიც. მრავალი საგულისხმო სიტყვა წარმოითქვა. ილაპარაკეს ალ. ხატისოვმა, ვ. შლიპპემ, მიხ. ჩელნოკოვმა, კონსტ. აბხაზმა, დეპ. გელოვანმა, დეპ. პაპაჯანოვმა, ნიკ. თავდგირიძემ, კავკავის ქალ. თავმა ბაევმა, გ. ჟურულმა, „კავკ. სლოვოს“ რედაქტორმა იული სემენოვმა, ის. დოლუხანოვმა, შ. მესხიშვილმა და გრ. დიასამიძემ.

✦ მოსკოვში ტეხნიკურ ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების სამოსწავლო განყოფილებამ გადასწყვიტა დასტამბოს წიგნაკები იმ საკითხებზე, რომელიც შეეხება **ომს და კულტურას**. სხვათა შორის ერთ-ერთი წიგნი იბეჭდება მიძღვნილი კავკასიასა და ამიერ-კავკასიისათვის. საჭიროა ამ წიგნაკის შედგენისათვის ცალკე კომისია დაარსდეს მცოდნე პირებისაგან.

✦ ინჟ. იოს. ანდრონიკაშვილმა ფრიად საყურადღებო რუკა (ქარტა) შეადგინა კავკასიისა და მცირე აზიის იმ ნაწილებისა, სადაც ბრძოლა სწარმოებს და მოსალოდნელია, ე. ი. ოსმალეთის და სპარსეთის ტერიტორიის ნაწილი. რუკა მალე გამოვა გასასყიდად.

✦ ქუთაისში მალე გამოვა ახალგაზრდა ბელეტრისტის ჯაჯუ ჯორჯიკიას თხზულებათა კრებული. წიგნში 320 გვერდი იქნება.

✦ ქართ. თეატრის აღმადგენელ მთავარ კომიტეტის ყრილობა შესდგა 14 ნოემბერს გუბ. მარშლის კონსტ. აბხაზის თავმჯდომარეობით. აირჩიეს აღმასრულებელი კომისია 10 კაცისაგან შემდგარი. მდივნად მოწვეულია იოს. გედევანიშვილი, ხაზინადრად დიმ ჩოლოყაშვილი, სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე, რომელიც ყოველსავე შეწირულებას მიიღებს და შეიტანს კომიტეტის თავმჯდომარის სახელის განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე. ფულის შეგროვების ხებართვას ახლავე აიღებს კომიტეტი, ხოლო მოწოდებით საზოგადოებას მაშინ მართავს, როდესაც ამისათვის ხელსა-ყრელ მომენტს დაინახავს.

## სათარხანი.

სპარსეთის რევოლიუციის გმირი ცნობილი სათარხანი ამ დღეებში გარდაიცვალა. სპარსეთის წინაშე მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. მან გმირულად დაიცვა თავრიზი, რომელიც ალყაშემორტყმული იყო მაჰმედ-ალის ჯარისაგან.

სათარხანის გვამი დიდის ამბით დაასაფლავეს, თუმცა, იგი ამ ბოლო ხანებში ყველასაგან მივიწყებული იყო. ამ რამდენიმე წლის წინად სათარხანს უნდოდა დაემორჩილებია თავის სურვილისა და მოქმედებისათვის მთავრობა და მეჯლისი ანუ პარლამენტი, მაგრამ ვერაფერი მოახერხა და განზრახვაც სამუდამოდ ჩაეფუშა. თავის მიმდევრებითურთ იგი გამაგრდა ათაბეგის პარკში, რომელსაც გარს მთავრობის ჯარი შემოერტყა და დაუწყო სროლა. ამ სროლაში იგი დასჭრეს ფეხში. ამის გამო იგი დაკოჭლდა. სათარხანი მთელს ადერბეიჯანში შესანიშნავ მსროლელად ითვლებოდა.

როდესაც სათარხანმა საბოლოოდ განდევნა მაჰმედ-ალი სპარსეთიდან, მას დიდის ამბით შეეგებნენ თეირანის მცხოვრებნი ამ ქალაქში დაბრუნებისას...

## პოლონეთის ნაციონალური კომიტეტი.

დეპეშამ მოგვიტანა ... ამბავი: პოლონეთში დაარსებულა პოლონეთის ნაციონალური ..., რომელმაც უნდა ყველა პოლონელები გააერთიანოს, მიუხედავად მათი რწმენისა და მიმართულებისა, და ამგვარად ხელი შეუწყოს იმ განზრახვათა განხორციელებას, რომელნიც უმთავრეს სარდლის მოწოდებაშია აღნიშნული. კომიტეტის წევრები არიან სახ. საბჭოს და სათათბიროს წევრნი, რომელნიც წარმოადგენენ პოლონეთის სამეფოს ამ დაწესებულებებში, ყოფილი დეპუტატები და ამ მხარის საზოგადო მოღვაწენი. კომიტეტი აქვეყნებს მოწოდებას პოლონელებისადმი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „პოლონელმა ერმა ომის დაწყებისთანავე, როდესაც პოლონეთის უდიდესმა მტერმა გაილაშქრა მთელი ევროპის წინააღმდეგ, შეურყევლად გამოარკვია თავის ადგილი. პოლონეთის ამ განწყობილებას ომისადმი რუსეთმა გასცა პასუხი უმთავრეს სარდლის მოწოდებით. პოლონელ ერის წინაშე ამ ჟამად უდიდესი მიზანია წარმოყენებული: გერმანიის ცბიერი ძლიერების დამხობა და პოლონეთის გაერთიანება რუსეთის მეფის მფლობელ სკიპტრას ქვეშ. საჭიროა მწყობრი მუშაობა საერთო ხელმძღვანელობით. სწორედ ამ აზრით დაარსებულია პოლონელთა ნაციონალურ კომიტეტის ორგანიზაცია.“ მოწოდებაში ნათქვამია: „პოლონელი ახალგაზრდობა სიხარულით შედის რუსეთის არმიაში. მკვიდრნი ყოველნაირად ხელს უწყობენ მას ამაში. მტერმა ვერ მოჰხიბლა პოლონელები თავის დაპირებით; მის ძალას პოლონელებმა შეურყეველი სიმშვიდით უპასუხეს; მის დაპირებას— ზიზღით. ავსტრიის მთავრობის ინტრიგის წყალობით შედგენილმა გალიციელ მსროლელთა რაზმებმა ვერ გაიყოლიეს პოლონეთის სამეფოს მკვიდრნი. ამიერიდან პოლონელ მოხალისეთა მხრით რამე დახმარების აღმოჩენა გერმანიისა და მის მოკავშირეებისათვის პირდაპირ დანაშაული იქნება პოლონეთის წინაშე“. ბოლოს მოწოდება მთელ პოლონელ ხალხის გაერთიანებას მოითხოვს.

## გულ-შემატკივრობაც ასეთი უნდა!..

არა ერთხელ და ორჯერ გვსმენია, რომ ჩვენს მწერლებს ცხოვრების აუტანელ პირობებში უხდებათ შრომა. სიღარიბე, სილატაკე—ეს მათი თანდაყოლილი „სვე-ბედია“.

ამ მხრივ დიდ ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მწერალი კიკნა-ფშაველი. ცხოვრებამ მას უკვე შეუბრალებელი დაღი დაასვა, მაგრამ იგი მაინც გაორკეცებული ენერგიით იბრძვის თავის მომავლის გამოსაჭედავად.

თუ კი ვისმე აწუხებს უსახსრობა—უწინარეს ყოვლისა კიკნა-ფშაველს.

გარდმოხვეწილი სამშობლო ქვეყნიდან აქ, დორპატში (უნივერსიტეტშია სტუდენტად), მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების მხრივ ნივთიერად უზრუნველყოფილი არ არის, იგი მაინც კეთილსინდისიერად მუშაობს, მაგრამ დღეს ისიც უიმედობამ მოიცვა.

„წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“. კიკნა-ფშაველს ეს ხავსიც გამოჰგლიჯეს ხელიდან. ერთად-ერთი სალსარი ცხოვრებისა 15 მანეთი, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოება უგზავნიდა ყოველთვიურად სტიპენდიის სახით, წაართვეს. ასე ექცევიან კიკნა-ფშაველს მაშინ, როდესაც სტიპენდიებს უნიშნავენ ისეთებს, რომელნიც ამის ღირსი არ არიან, ან და კიდევ ზოგს ორმაგ სტიპენდიებს აძლევენ. ის სტიპენდია, რომელიც ამას წინად განთავისუფლდა, სამს სხვა სტიპენდიატს გაუნაწილეს. კიკნა-ფშაველს კი 15 მანეთიც წაართვეს. რა მოხდა? განა კიკნა-ფშაველი ქართველი ერის ბუნებრივი შვილი არ არის?

სასურველია ვიცოდეთ, ახალი თაობის ვითომ გულ-შემატკივარმა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ რად მოუსპო კიკნას 15 მანათის გზავნა—უსახსრობისა გამო, თუ კიდევ სხვა სტიპენდიატებს არა ჰყოფნით უკვე ნაკუთვნი და ეს 15 მანათიც მათ მიუმატეს?...

აქაური ქართველი.

# ნანახი და ნასმენი ომიანობის დროს.

### პარიზში.

15 ივლისს ახალი სტილით მივედი პარიზს და იმ დღესვე დავბინავდი პარიზის ახლო სოფლად ერთს ქალთა პანსიონში მდ. მარნის პირად.

20 ივლისს უკვე დაიწყო დიდი პროცესი ქ-ნი კაიოსი, რომელზედაც იყო მიპყრობილი არა თუ მთელი საფრანგეთის ყურადღება, არამედ მთელი განათლებული მსოფლიოსი. ამ დროს პრეზიდენტი პუანკარე მოგზაურობდა. ახლო მომავალში არავინ სისხლის ღვრაზე არა ფიქრობდა. ჯერ კიდევ გათავებული არ იყო ზემო დასახელებული პროცესი, რომ ავსტრიის ულტიმატუმმა სერბიელების მიმართ ააშფოთა პარიზელები. და როდესაც რუსეთმა გადასწყვიტა სერბიის მხარის დაჭერა, უკვე საგრძნობლად აღელდა საზოგადოება, რადგან რუსეთის ომში ჩარევას უეჭველად უნდა მოჰყოლოდა საფრანგეთის ჩარევაც მათ შორის არსებულ კავშირის გამო და იმ ისტორიულ მეტოქეობისა, რომელიც არსებობს საფრანგეთსა და გერმანიის შორის.

შევსწყვიტოთ შინაური შფოთი. გაისმა სამსაჯულოს დარბაზში დიდი ვექილის ბ. ლაბორის ხმა, რომელიც ქ-ნი კაიოს დამცველი იყო,—და მივუბრუნდეთ გარეშე მტერს, რომელიც აგერ არის კარზე მოგვად-გებაო.

იმ დღესვე ქ-ნი კაიო გამართლებული იყო. ჯერ კიდევ ფრანგის საზოგადოება ვერ გამოსულიყო ამ დიადი პროცესის შთაბეჭდილებისაგან, რომ გავარდა დამბაჩა და სამუდამოდ გააქრო ყოველი ძალ-მომრეობის და სისხლის ღვრის წინააღმდეგ მქუხარე ხმა ჟ. ჟორესისა. მოჰკლეს დიდებული წარმომადგენელი საფრანგეთის მშრომელი ხალხისა, თავ-განწირული მოსარჩლე მუდმივ პროგრესიულ განვითარებისა. მოჰკლეს როგორც ერთად-ერთი გავლენიანი პირი, რომელიც ომის და სისხლის ღვრის მოყვარეთ დიდ ხელშემშლელათ ეგულებოდათ. ამ საზიზღარ მკვლელობის მეორე დღეს გერმანიამ გამოუცხადა ომი რუსეთსა და საფრანგეთს. ეს დიდი დანაკლისი ფრანგის ხალხმა ისეთი დაფიქრებული მოთმენით გადიტანა, რომ ხალხი ამ მწუხარე დუმილის დროს გვაგონებდა იმ ადამიანს, რომელიც ოპერაციის დროს დოსტაქრის დანისგან მიყენებულს ტკივილებს ხმაამოუღებლივ ითმენს, რომ ყვირილით ხელი არ შეუშალოს ექიმს და ამნაირად უზრუნველ ჰყოს თავის სიცოცხლე. სწორედ დიდი სულ-გრძელობით და ხასიათის სიმტკიცით ამ ძვირფასი დანაკარგისაგან უსაზღვროდ მწუხარემ გულს ჩაიკლა თავის საშინელი უბედურება ფრანგთა მშრომელმა ხალხმა, რომ ამ საბედისწერო დღეს შინაურული შფოთით და შურისძიებით საფრთხეში არ ჩაეგდო თვისი ეროვნული არსებობა; და ხვალ საომრად გამზადებულებმა დღეს ჩუმი ცრემლის ღვრით მიაცილეს თვისი ეროვნული მოსარჩლე მამულისშვილის ნაშთი სამარის პირად.

გამოცხადდა ომი, დაიწყო მობილიზაცია. აშკარად შეამჩნევდენ ყველანი იმ დროს იქ მყოფნი, რომ ფრანგები არ იყვნენ ამ ომის მსურველნი და არც საიმისოდ მომზადებულნი. მაგრამ რადგან უკან დახევა შეუძლებელი იყო, ფრანგებიც ერთსულოვნობით გამსჭვალულნი სამშობლოს დასაცველად იარაღს ისხამდენ და საზღვრებისაკენ მიეშურებოდნენ.

— ალზას-ლორენი, ალზას-ლორენი!... იძახდნენ მეომარნი და გერმანიის უღლის ქვეშ მკვნესარ ვოჟის (ვოგეზების) მეორე მხარეს მცხოვრები ფრანგნი მოუთმენლად მოელოდნენ თავიანთმხსნელ თანამემამულეთ.

იმ დროს მე სოფელში ვიყავ ზემო აღნიშნულს პანსიონში, საიდანაც მშობლებს ნელ-ნელა გაჰყავდათ მოსწავლეები.

ერთს დღეს სადილზე ვისხედით რამდენიმე მოსწავლეებთან ერთად, რომ ამ საერთო უბედურებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

— რისთვის არის ეს ომი, ეს სისხლის-ღვრა? ჩვენ, თითქო, ქრისტიანები ვართ, ჩვენი უფალი ერთმანეთის სიყვარულს გვასწავლის და ჩვენ კი ერთმანეთს ვხოცავთ. განა არ იციან იმ პირებმა, რომელნიც ომებს აცხადებენ, რომ ჩვენ პატარა ბავშვებს მამები გვჭირია, რად გვართმევენ და სასიკვდილოდ მიჰყავთ?!

თვალებზე ცრემლებ-მომდგარი, ლოყებ-აწითლებული ეკითხებოდა ცუგრუმელა გოგონა მასწავლებელ-ქალს.

— რას ვიზამთ, მიუგო მასწავლებელმა, საფრანგეთს დიდი მტერი ჰყავს,—ეს არის გერმანია, რომელსაც ჩვენი მოსპობა სწადია. მშობელ საფრანგეთისათვის ყველაფერი უნდა ავიტანოთ, ყოველი მსხვერპლი უნდა შევსწიროთ.

გავათავეთ სადილი თუ არა, ყველანი მწუხარე სახით ავიშალენით სუფრიდინ და გავეშურენით ჩვენ ოთახებისაკენ. მეორე დღეს დილით ბავშვები თან და თან გაიყვანეს. უფროსი ქალი კი ყველას გვიცხადებდა, რომ ეხლა ისეთი დროა, როცა ყველანი თავიანთ სახლში უნდა იყვნენ და მე ვერავის პასუხისმგებელი ვერ ვიქნები ამ არეულობის დროსაო. აშკარა იყო ყველას გვითხოვდა.

მასწავლებლებმა აიკრეს ბარგი და გაეშურენ თავიანთ ოჯახისაკენ. მეც წაველი პარიზში, რომ ბინა მეშოვნა და ჩამოვსულიყავ ბარგის წასაღებად. ნაშუადღევის პირველ საათზე ჩამოვედი პარიზში და მივედი ერთს ნაცნობ რუსის ოჯახში, სადაც მასპინძელი ჩემზე მეტად აღშფოთებული დამიხვდა.

— ეგ რა უბედურებაა, ვეკითხები, სად არის თქვენი საერთაშორისო კავშირი, საერთო გაფიცვა ომის წინააღმდეგ და პროლეტართა ძმობა-ერთობა?

— ნულარ მომაგონებთ, ნულარ მეკითხებით,—ყურებზე ხელების მიფარებით მომიგო მან.

— სირცხვილი, მხოლოდ მარტო სირცხვილი მეტი არა დაგვრჩენია რა; ქვეყნიერება, გესმით, ქვეყნიერება ერთიანად ჭკუიდან იშლება. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, არ მოსწრებია ასეთ სისხლისღვრას, რომელიც ამ ომმა უნდა გამოიწვიოს. ზნეობის და კაცთ-მოყვარეობის მხრით ჩვენ არავითარი პროგრესსი არ გვეტყობა. საშუალო საუკუნეში ომებს, იმ კარჩაკეტილობისა გამო, რომელსაც ხელს უწყობდა მაშინდელი ცხოვრება თავის გასამართლებელი საბუთებიც ჰქონდა. და მაშინაც კი განა წარმოსადგენი იყო ისეთი მსხვერპლი, რომელსაც დღევანდელი ერთი თვის ომი შეიწირავს. დღეს კი თითქო ხალხნი ერმანეთში მიდი-მოდიან, ერთმანეთის ენაზე ლაპარაკობენ, ეკონომიური და კულტურული განვითარება საერთო საჭიროებათ და ხელმისაწვდენად იქცა, მაგრამ შური და მტრობა არა თუ არ დასცხრა ხალხთა შორის, არამედ ტლანქმა ეგოიზმმა უფრო გაამწვავა იგი. სად არის ზნეობა, სად არის კაცთ-მოყვარეობა?!—მიპასუხა მან და მწარედ ჩაღუნა თავი.

არ ვიცოდი, რა მეთქვა. ყველანი მწარე დუმილმა წავვიღო, რომელშიაც ერთნაირად გვესახებოდა მთელი ჯოჯოხეთური პერსპექტივა, სადაც კაცთმოძულეობას, შურსა და მტრობას, ამა თუ იმ სახელმწიფო ამპარტავნებისაგან გამოწვეულს, მთელი თავისი სიბოროტით უნდა დაეტეხა, შთაენთქა ურიცხვი ადამიანის სიცოცხლე. მოერწყო სისხლით და ცრემლით მიდამოები, გამოეწვია სილატაკე, შიმშილი, სნეულება: გაემეფებინა სიკვდილი, სისაწყლე და უძლურება იქ, სადაც ყველა და ყველაფერი სიცოცხლის ძალით და სიხალისით ფეთქდა.

გამოვკითხეთ თუ არა ერთმანეთს ამბავი კერძოდ ჩვენი ცხოვრებისა, თუ რა გზას უნდა დავსდგომოდით ამ საერთო კატასტროფის დროს, გავედით სასეირნოდ, რომ გაგვეგო, რა ამბავი მოიტანეს ახალმა დეპეშებმა და რა ხდებოდა ქალაქში.

ქუჩაში ხალხი ასკდებოდა მაღაზიებს, საიდანაც გაჰქონდათ ფუთობით სხვადასხვა ხმელი მარცვლეულობა.

— ინგლისმა გამოუცხადა ომი გერმანიას,—გაჰკიოდენ სირბილით მეგაზეთეები და ხალხიც მოუთმენლად ჰგლეჯდა ხელიდან გაზეთის ფურცლებს.

ამ ამბავმა დიდად ანუგეშა ფრანგები, რომელთაც წინად ცოტად თუ ბევრად ეჭვი ჰქონდათ ინგლისის ომში ჩარევის.

ჩვენ გავყევით გზას და შევუდექით ოთახის ძებნას. ვიპოვნე თუ არა იგი, ერთს ნაცნობ სასტუმროში, მსწრაფლ მოვურიგდი ფასში და გავეშურე სადგურისაკენ, საიდანაც უნდა წავსულიყავ სოფელში.

— შეიძლება სადგური დაკეტილი დაგიხვდეთ,—მითხრა ნაცნობმა, როდესაც გაუწიე გამოსათხოვრად ხელი.

ამ შენიშვნისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და საჩქაროდ ჩავჯდ ტრამვეში. მივედი თუ არა გარ-დე-ლესტის სადგურზე მრავალი ხალხი იყო შესავალთან. ჰიშკრის დარაჯმა სასტიკი ხმით გამომიცხადა, რომ სადგური დაკეტილია.

— სანამდის?—დავეკითხე მას.

— სანამ ჯარს არ გადაიყვანენ, მიპასუხა.

მწარედ დაღონებული გამოვბრუნდი. უბედურება ის იყო, რომ მე პასპორტი პანსიონში მქონდა დატოვებული და თან ჩემი ვინაობის არავითარი საბუთი არა მქონდა, უამისობა კი ამ დროს, როდესაც უცხოელებს სდევნიდენ, ძლიერ სახიფათო იყო.

მოვედი ბინაზე თუ არა, ვუამბე სასტუმროს პატრონს ჩემი მდგომარეობა.

— ეხლა გვიან არის და ხვალ დილით წადით თქვენს საკონსულოში, გრენელის ქუჩაზეა, იქ უნდა მიხვიდეთ დილის 11 საათზე.

მეორე დღეს 10 საათზე გავუდექ გზას, ზოგიერთ ტრამვეს და მეტროპოლიტენის მიმოსვლა შეწყვეტილი იყო და იძულებული ვიყავ ქვეითი მევლო. სრული ერთი საათი ვიარე და მივაღწიე რუსის საკონსულოს. ეზო ხალხით გაჭედილი იყო. ამდენი ხალხის დანახვამ სრულიად დამიკარგა იმედი, რომ მე კონსულის ნახვას ვეღირსებოდი.

— სიჩუმე, სიჩუმე!—გაისმა ვიღაცას ხმა, და აივნის კიბის წინ გამოჩნდა მაღალი ტანის, სადარბაზოდ მორთული, ხმელი სახის მოხუცი.

— ელჩი, ელჩი,—წაიბუტბუტა ხალხმა და სასმენლად მომზადებული შემოეხვია კიბეს.

— ძვირფასნო თანამემამულენო!—მიმართა რუსეთის ელჩმა ბ. იზვოლსკიმ იქ თავ-მოყრილთ. თქვენ იცით, რომ გერმანიამ გამოუცხადა ომი რუსეთს; და რისთვის? მისთვის, რომ რუსეთი წინააღუდგა ავსტრიის ძალ-მომრეობას, რომელსაც სურს გასრისოს, გაანადგუროს სერბიელები, ეგ პატარა ერი, ჩვენი თანამოძმენი. ჩვენ მივიღეთ ეგ ომი და ვიბრძვით უსამართლოების, ძალმომრეობის წინააღმდეგ. ჩვენი მოკავშირე საფრანგეთი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და ჩვენთან ერთად იბრძვის ამ წმინდა მიზნისათვის. თანამემამულენო! ყველა თქვენგანი მოვალეა შეასრულოს ვალი სამშობლოს წინაშე, ვის როგორ ძალ-გიძთ.

— გაუმარჯოს რუსეთს! გაუმარჯოს საფრანგეთს!—დასძახა ელჩმა ღონიერი ხმით.

— გაუმარჯოს რუსეთს, გაუმარჯოს საფრანგეთს!-განიმეორა ხალხმა, რის შემდეგ იმღერეს ეროვნული ჰიმნი ჯერ რუსული და მერე ფრანგული.

გარეშემო სახლებიდან მცხოვრებნი ფანჯრებიდან იცქირებოდნენ და ხელსახოცებს აფრიალებდენ. მათ შემოსძახეს: ვივ ლა რუსი!

— ვივ ლა ფრანს!—უპასუხეს რუსეთის საკონსულოსთან შეგროვილებმა და კიდევ განიმეორეს მარსელიეზის სიმღერა.

მიწყნარდა სიმღერა და ხმაურობაც

— ბრძოლა გვინდა, დაიძახეს ხალხში. ბ. იზვოლსკის სიამოვნებით გაუბრწყინდა სახე.

— ვისაც საომრად წასვლა სურს, შეუძლია ჩაეწეროს საფრანგეთის ჯარში, დღეს აქ მყოფნი რუსეთის ჯარისკაცნი და ოფიცრები აქვე დარჩებიან, რომ ფრანგებთან ერთად ებრძოლონ საერთო მტერს. ასეთია სურვილი ჩვენი ხელმწიფისა,—უპასუხა ელჩმა.

— სამშობლოში დაბრუნება გვსურს, დაიძახა მეორე წყებამ ხალხისამ.

— ჯერ-ჯერობით გზა შეკრულია არ ვიცით როდის გაიხსნება, ყოველს ცნობებს შევკრებთ და გაიხსნება თუ არა გზა, აქვე განცხადებას გამოვაკრავენ და გაიგებთ, თუ რა გზით მოგიხდებათ წასვლა,-უპასუხა ბ. იზვოლსკიმ და გაბრუნდა თავის ბინისაკენ.

შეშფოთდა ხალხი, ზოგი სტირის, ზოგი დავობს და ჩივის თავის გაჭირებას, რომ არც წერილები, არც ფული არ მომდისო.

არ ვიცი, ვის მივმართო, ვის შევჩივლო ჩემი გაჭირება. საკონსულოს კარებთან ხალხი ერთმანეთს ასკდება, ფრანგთა დარაჯები წესიერებას იცავენ, მაგრამ ყოველ შესაფერ ზრდილობას მოკლებულია მათი ქცევა.

გადავწყვიტე, რომ მე იმ დღეს კონსულის ნახვა არ მეღირსებოდა და ილაჯ-გაწყვეტილი მთელი დღე უჭმელ-უსმელი ფეხზე მდგარი საღამოს 5 საათზე დავბრუნდი უკან. მოვედი თუ არა ბინაზე, ვუამბე ჩემი თავგადასავალი სასტუმროს პატრონს.

— ნუ სწუხართ, მიპასუხა მან, თუ მაინცდამაინც გაჭირდა საქმე, მე მოგცემთ მოწმობას, რომ ვიცი ვინცა ხართ და აქვე ჩვენს უბანში წარუდგენთ კომისარს. მხოლოდ ხვალ კიდევ სცადეთ გამოართვათ თქვენს კონსულს მოწმობა, უკეთესია,

მეორე დილით ისევ გავბრუნდი საკონსულოში, სადაც დიდი ცდისა და ლოდინის შემდეგ მივაღწიე საკონსულოს კიბესთან. იქ პატარა მაგიდასთან იჯდა ერთი კეთილი სახის მოხუცი. როცა რიგი ჩემზე მიდგა, დამეკითხა.

— თქვენ ფული სულ არა გაქვთ? ჩვენ მხოლოდ ერთი ფრანკი შეგვიძლია მოგცეთ.

— გმადლობთ, ვუპასუხე მე. თქვენ ფულს არა გთხოვთ. გთხოვთ მხოლოდ ჩემი ვინაობის მოწმობა მომცეთ. და ვუამბე, თუ როგორ დავრჩი პარიზში უპასპორტოთ.

— ეგ კონსულის საქმეა, ჩვენ მხოლოდ ფულს ვაძლევთ გაჭირებულთ. ეხლა გვიან არის, კონსულს ვერ ნახავთ და ხვალ მოდით.

გამოვბრუნდი გულ-მოკლული გარე, დავწყვიტე კვლავ არ დავბრუნებულიყავ, თუნდაც მიელად ციხეში ჩავეგდე ფრანგთა პოლიციას.

მეორე დღეს როგორც იყო მივიღე პარიზში ცხოვრების ნებართვა კომისიისაგან სასტუმროს პატრონის დამოწმებით.

გზა გაიხსნა, თუ არა, წაველი სოფელში და გადმოვიტანე მხოლოდ აუცილებლად საჭირო ბარგი. პარიზის ჩვეულებრივი ცოცხალი ენერგია და მხიარული ელფერი დღითი დღე ჰქრებოდა, აღარ ისმოდა საღამოებით ქუჩებში მუსიკის ხმა.

თეატრი დაიხურა, მოძრაობა ნელ-ნელა მისწყდა. შუადღისას ქუჩაში გამოსულს ისეთი სევდიანი სიმშვიდე გხვდებოდა თითქო დილის 5 საათზე გამოსულიყავი. სადაც უმრავლესობა ისევ დილის ძილს განაგრძობს ქალაქში. რაღაც სამგლოვიარო სურათი იშლებოდა თვალწინ, რომელიც დამამძაბუნებლად მოქმედებდა ადამიანზე. პირველი ხნის ენტუზიაზმიც სადღაც გაჰქრა.

აქა-იქ პრესსის გარეშე გავარდა ხმა, რომ ერთი ღენერლის წინამძღოლობით 30 ათასი ჯარისკაცი დაიღუპა. არ ვიცი ეგ დიდი მსხვერპლი რამდენად მართალი იყო, მაგრამ ის კი ცხადი გამოდგა, რომ დასახელებული ღენერალი სასამართლოში მისცეს და პარიზში დააბრუნეს.

ფრანგებს დიდი იმედი ჰქონდათ რუსების, რომელნიც სულ ერთი ან ორი თვის განმავლობაში ბერლინში უნდა ყოფილიყვნენ.

ყაზახ-რუსების ვაჟ-კაცობას და სიგმირეს ერთ-ხმად ღაღადებდნენ ყველა გაზეთები. „მატენის" აზრით ყაზახები საუკეთესო კავალერიაა დედამიწაზე.

აქა-იქ გაიგონებდით მცხოვრებლებისაგან მას შემდეგ, რაც გერმანელები საფრანგეთის ტერიტორიაში შემოიჭრენ „ბარემ ჩქარა მოვიდნენ ეგ რუსები თავიანთ ყაზახებით და გაგვარეკვინონ ეგ ალმანებიო (გერმანელები). ბელგიელების გმირობას ერთხმად აღიარებდენ და ზოგი კიდეც დასძენდა, რომ თუ არ ბელგიელები გერმანელები თავიანთ ქადილს მართლაც შეასრულებდენ და დღეს პარიზში იქნებოდნენო".

როდესაც გერმანელების ყუმბარა ჩამოვარდა, პარიზში შიშმა თან-და-თან იმატა. ჩემს იქ ყოფნის დროს ორჯერ ჩამოაგდეს ყუმბარა გერმანელებმა, რომელთაც საგრძნობელი ზიანი არ მოუტანია. საერთო შიში თანდათან მატულობდა: პარიზში დარჩენა საბედისწერო იქცა.

სამწუხაროდ ამ საერთო უბედურების დროს ვერ ვამჩნევდი პარიზელებს იმ სულის სიმხნევეს და ღრმა რწმენას თავიანთი ძალისადმი, რომელსაც მოველოდი მათგან. უფრო გულის წყრომა, რომ ვაჭრობა და ფულის მოგება შეჩერდა, უსაზღვრო სიძულვილი არა მარტო გერმანელი მთავრობის მიმართ, არამედ თვით გერმანელ ადამიანისადმი იხატება მათში, ვიდრე მამულისშვილური თავ-განწირულობა, რომელიც შეფერება დიდებული ქვეყნის მოქალაქეთ.

ზოგი ფრანგი არ ჰფარავდა თავის გულის წყრომას მთავრობისადმი, და აცხადებდა, რომ რესპუბლიკა დამღუპველია საფრანგეთისაო.

— ომისათვის საჭიროა უმაღლესი ავტორიტეტი, რომელიც თავის ძლიერი და საპატიო ხმით აფრთოვანებდეს მეომართა სულს, რომელიც რესპუბლიკას არა ჰყავს და არც ეყოლებაო"-მეუბნებოდა ერთი ფრანგი როიალისტი.

სხვათაშორის საფრანგეთში მონარქისტების და რესპუბლიკელთა ანტეგონიზმი უფრო თუ არ მწვავდება, არ სცხრება: ომში მონაწილეობის მიღების სურვილი ორივე პრეტენდენტმა გამოაცხადა: ბიქტორ ნაპოლეონმა-ბელგიის მეფის სიძემ, რომლის მომხრე ბონაპარტისტები არიან საფრანგეთში და ლუი-ფილიპმა, ორლეანის დიუკმა (ჰერცოგმა), რომლის მომხრენი როიალისტები არიან. სამხედრო მინისტრმა ორთავეს ზრდილობიანი უარი [illegible]

[illegible] იტალიის და ამერიკის საელჩომ უკვე გაგზავნა კიდეც თავიანთი თანამემამულენი სამშობლოში.

ბოლოს ჯერი მიდგა რუსებზედაც და ყველა იქ დარჩენილ მოსწავლე ქართველებს, რომელთაც კავკასიელებს გვეძახდენ, ვინც კი გამოაცხადა წამოსვლის სურვილი, დაგვირიგეს საკონსულოში ბილეთები და გაგვისტუმრეს ლონდონში.

პარიზიდან გამოვედით 2 სექტემბერს ახალი სტილით და ღამის 11 საათზე მოვედით დიეპში, სადაც ფეხზე დგომით გავათენეთ სადგურზე. მეტად დაქანცულები ვიყავით.

**კატო მიქელაძის-ქალი.**

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. დიასამიძე.**


## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო. ტელეფონი № 590.**

**სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე ზ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. ვ.** (ყოველ დღე), 11—12.<br>**კიკალიშვილი პ. ლ.** (ყოვ. დღე,) 11½-2. |
| ქირურგიული სნეულებანი | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოვ. დღე) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა სამშ. და სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **კიკალიშვილი პ. ლ.** (ყოვ. დღე.) 1½—2.<br>**მიქელაძე ზ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. ვ.** (ყოველ დღე,) 11—2. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყელ. ყურ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. |
| თვალის სნეულებ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბ. ოთხშ. და პარასკ.) 2—2½, |
| კბ. და პირ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606", „914" და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასური.

## „ხარებობის"
„ბლაგოვეშჩენსკოე"
**კოოპერატიული სალიანელ მეთევზეთა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.**

თბილისი, პუშკინის ქ. № 17.

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას რომ მან

## უკვე დაიწყო ვაჭრობა
**ყოველ გვარ თევზეულობისა.**

მყიდველთ შეუძლიანთ მუდამ მიიღონ მაღაზიაში: მოხარშული ცხელი დოში, ცალძვალა, იანი, და ქიპა.

გამომდგარი ზურგიელები: დონისა და ქართული. სრულებით უმარილო მსხვილი მარცვლოვანი ახალი ხიზილალა „ქიტკა", საუკეთესო გემოვნების ხიზილალა პარკისა და ბოჭკისა.

**მუდამ დღე იყიდება:**

ახალი თართი, ზუთხი და ლოქო

ვაჭრობა სწარმოებს როგორც ბითუმად, (პარტიით) ისე წვრილად.

ამხანაგობის მიზანია, თავისი საკუთარი საქონელი გაჰყიდოს პირველ ხელში მომხმარებელთა და მიაწოდოს მათ ახალი და სალი თევზეულობა ფრიად ნაკლებ ფასებში, მაგალითად, 20 პროც. და მეტით ნაკლებ, ვიდრე თბილისელ მეთევზეთაგან, რადგანაც თვით ამხანაგობა ცდილობს, დაიმსახუროს მომხმარებელთა ყურადღება. იმედია, საზოგადოებაც არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ ნორჩს კოოპერატიულ დაწესებულებას.

პატივისცემით გამგეობისა და მაღაზიის [illegible]რაბ ფარეშაშვილი.

ხელოვნურად შეზავებული  სამკურნალო და ხილეულობის წყალი

## მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულისწვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

## გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.